# სარბიელი

საპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 მაისი 2000 №95 (1117) | ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუ ებრძვით სიტყვას!

„რუსთავი 2“-ის გადაცემა „60 წუთისა“ და მისი ავტორის აკაკი გოგიჩაიშვილის დაშინებისა და დადუმების სურვილი ჟურნალისტთა არად ჩაგდება, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება, დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვა და საზოგადოების აბუჩად აგდებაა. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ანტიდემოკრატიულ და დიქტატორულ ქვეყანაში, ისეთში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი.

მავანთ, ეტყობა, ის ძველი დრო ახსოვთ და მონატრებიათ. ამიტომაც გახშირდა მასმედიის წარმომადგენელთათვის ფოტო და ვიდეოკამერების წართმევისა და დამტვრევის შემთხვევები, ჩვენი კოლეგების დაწიოკებისა და ცემის ფაქტები.

თავისუფალი პრესის წინააღმდეგ ბრძოლის კულმინაციაა მუქარა „60 წუთისა“ და მისი წამყვანის მიმართ. თუ აქამდე მავანნი ზემდგომნი ხელმძღვანელობდნენ პრინციპით, წერონ და იკითხონ, ახლა, ეტყობა, ვითარება შეიცვალა და, სამწუხაროდ, დაიძაბა კიდეც.

თავისუფალი სიტყვა თავისუფალი საზოგადოების საფუძველია, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა საზოგადოების მტრობაა. სარბიელელები მხარს ვუჭერთ ჩვენს კოლეგებს და ვგმობთ ყველა იმ ქმედებას, რომელიც თავისუფალი მედიის წინააღმდეგ არის მიმართული.

სარბიელელები

## ლჰოცზეზე ყველა ავიდა

კვირას, 21 მაისს ნეპალის დროით 13 საათზე დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალ ლჰოცზეს მთავარ პიკზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მთელი შემადგენლობით ავიდა ქართულ-რუსული ექსპედიცია.

შეგახსენებთ, მისი წევრები არიან: ქართველთაგან — აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე და გელა ოთარაშვილი, რუსთაგან — ევგენი ვინოგრადსკი, გლებ სოკოლოვი, ალექსანდრ ფოიგტი, ვალერი პერშინი, იური ბაიკოვსკი. ამის თაობაზე გვაცნობა ქართულ-რუსული ექსპედიციის მეთაურმა ბენო ქაშაკაშვილმა, რომელმაც ეს მწვერვალი პოლონელ პიოტრ პუსტელნიკთან ერთად დალაშქრა. როგორც ბენო ქაშაკაშვილი იუწყება, მისი ექსპედიციის წევრთა გარდა იმ დღეს ლჰოცზეზე არავინ ასულა. მთამსვლელთა შემდგომი მოქმედების გეგმა დღეს გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ ამ ექსპედიციის საბოლოო მიზანი დღემდე დაულაშქრავ ლჰოცზეს შუათანა პიკზე ასვლაა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ 19 მაისს ლჰოცზეს მთავარი პიკი დალაშქრა ცნობილმა იტალიელმა მთამსვლელმა სერჯიო მარტინიმ, რითაც მან მსოფლიოს თოთხმეტივე რვაათასიანზე ასვლები დაასრულა.

# ტორპედო ჩემპიონია!



გუშინ გორში: „დილა“ — „ტორპედო“ 0:4. საქართველოს ახალი ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ შამპანურის შხეფებში

# დინამო იყიდება

გუშინ საქართველოს ახალი ჩემპიონი მოევლინა: ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამოს“ ათწლიანი ჰეგემონია შეწყვიტა და მეორე ქართული კლუბი გახდა, ვინც ოქროს მედლებს დაეუფლა.
„ტორპედომ“ ამ გამარჯვებას დავით ყიფიანის მწვრთნელობით მიაღწია.
ყიფიანი ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, ვინც მეშვიდე საჩემპიონო ტიტული მოიგო და თანაც ეს ორ გუნდში მუშაობისას მოახერხა.
„ტორპედომ“ გუშინ გორში „დილას“ 4:0 მოუგო. გოლები ბობოხიძემ, იონანიძემ, ჯანაშიამ და მეგრელაძემ გაიტანეს.
ამასობაში ქართული ფეხბურთისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის „დინამოს“ დირექტორატმა — ყველა ის ფეხბურთელი, ვინც კი საჩემპიონატო განაცხადშია, ტრანსფერზეა დაყენებული, 22 დინამოელი იყიდება... იყიდება და თანაც თითოეული იმდენად, რამდენის გადახდაზეც თავმოყვარე კლუბმა არ უნდა დაიწუწუნოს. შესაბამისი საბუთები „დინამოს“ დირექტორატმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე აახლა.
ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას „დინამოში“ რამდენიმე მიზეზით ხსნიან. პირველი და ალბათ უმთავრესი კლუბის ვალებია. თანხის რაოდენობა ჩვენთვის უცნობია, ზოგადად კი ცნობილია, რომ „დინამოს“ სხვათა დიდი ფული მართებს.
სამაგიეროდ, ქვეყნის ათგზის ჩემპიონები ჭაბუკი ფეხბურთელების მიწვევას აპირებენ, მათ დაოსტატებას და ახალი, ძლიერი კლუბის შექმნას. ყმაწვილ, პერსპექტიულ ფეხბურთელთა მოძიება „დინამოს“ მწვრთნელებს დაევალათ.
სიტყვამ მოიტანა და, თბილისის „დინამოს“ შესაძლო მთავარ მწვრთნელზეც. გავიგეთ პირველი რეალური კანდიდატის ვინაობა — დღეს-ხვალ დირექტორატის წევრები გუნდის თავკაცობას საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს შესთავაზებენ. დათანხმდება თუ არა „დინამოს“ ჩივაძე, ეს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაირკვევა. დარჩენილ ტურებს თბილისელები კვლავ ძველი შემადგენლობით ჩაატარებენ. მერე კი „დინამო“ გაახლდება.

იხილეთ მეორე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

## 13 ტური

### «ა» ზონა

22 მაისი, ორშაბათი

**დილა 0**
**ტორპედო 4**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 8 | 3 | 2 | 37 : 11 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 13 : 7 | 37 |
| ბათუმი | 12 | 7 | 2 | 3 | 20 : 8 | 36 |
| დინამო | 12 | 3 | 9 | 0 | 11 : 3 | 35 |
| კოლხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 17 : 8 | 34 |
| სიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 12 : 30 | 18 |
| იბერია | 12 | 2 | 2 | 8 | 6 : 27 | 17 |
| დილა | 13 | 2 | 0 | 11 | 9 : 31 | 16 |

### «ბ» ზონა

22 მაისი, ორშაბათი

**მერანი 3**
**ლოკომოტივი 1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 13 | 8 | 4 | 1 | 16 : 5 | 36 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 20 : 7 | 33 |
| თსუ | 12 | 8 | 0 | 4 | 19 : 11 | 32 |
| გორდა | 12 | 7 | 2 | 3 | 22 : 8 | 31 |
| სამგურალი | 12 | 6 | 3 | 3 | 13 : 7 | 27 |
| თბილისი | 12 | 2 | 2 | 8 | 9 : 24 | 15 |
| არსენალი | 12 | 3 | 0 | 9 | 11 : 23 | 14 |
| ხობი | 12 | 1 | 0 | 11 | 11 : 36 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია „არსენალი“, „თბილისი“ და „ხობი“ მეორე ლიგაში დაქვეითდნენ

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი **13 ტური**

# შეხედეთ, ისინი ჩემპიონები არიან!

გორი
22 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:4 ტორპედო**

0:1 ბობოხიძე (22), 0:2 იონანიძე (26პ), 0:3 ჯანაშია (83), 0:4 მეგრელაძე (87)
**დილა:** მდივანი, კოჭლაშვილი (არუთინიანი 33), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ოლგესაშვილი (კარელიძე 66), ციცქიშვილი (ებანოიძე 55), საყვარელიძე, ფეზუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ხორგუაშვილი
**ტორპედო:** ჭანტურია, იონანიძე (კ. კვეტენაძე 77), მახვილაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, ჩხეტიანი, თურმანიძე, მ. ბობოხიძე (მეგრელაძე 64), ახვლედიანი, ასათიანი (შეყრილაძე 43), ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, იმედაძე
**გაფრთხილება:** საყვარელიძე (35)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**მამუკა კვანტალიანი** გორიდან

ერთი წუთით ჩაულრმავდით მატჩის ოქმს და ქუთაისური „ტორპედოს" ძირითად-სათადარიგოთა გვარები ყურადღებით ჩაიკითხეთ. ისინი და ქუთაისური კლუბის კიდევ რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც საამმატჩოდ განაცხადში ვერ მოხვდნენ, საქართველოს ჩემპიონები არიან.

ფეხბედნიერი ქალაქია გორი რიონისპირელთათვის. 1994 წელს სწორედ იქ გაინაღდა „ტორპედომ" ბრინჯაო. მაშინაც შხუილით მოსძვრა თავი შამპანურის ბოთლს და ტორპედოელებთან ერთად გორის „ცენტრალურის" მწვანე გაზონი დანამა.

მას აქეთ ექვსი წელიწადი გასრულდა. ბევრი რამ შეიცვალა და „ტორპედოს" თავზეც ბევრმა წყალმა გადაიარა.

...და ისევ გორი, ისევ „დილა" — „ტორპედო". კვლავ ცაში გაფრენილი შამპანურის საცობი, გაწუწული ფეხბურთელები და მორწყული მინდორი. ექვსი წლის წინანდელი ზეიმი გუშინდელს (თავისი მნიშვნელობით) ვერ შეედრებოდა. სად ბრინჯაო და სად ოქრო.

„შეხედეთ, ისინი ჩემპიონები არიან!" ერთ-ერთი გორელი ფეხბურთელი ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო, ფეხსაცმელზე თასმას იკრავდა. თავი არ აუწევია, ძალით აჭინაურებდა საქმიანობას. „ბობოხიძე, ასათიანი, იმედაძე ჩვენი კბილა ბიჭები უკვე ჩემპიონები არიან. ნეტავ, ჩვენ თუ გველირსება ოდესმე მსგავსი სიხარული?!" — თავს ისევ არ სწევდა, ისე ესაუბრებოდა ფეხზე მდგომ თანატოლს.

ამ სიტყვებში გულისტკივილიც იგრძნობოდა და გაჩემპიონებული მეტოქისადმი პატივისცემაც. გნებავთ, ამას მოწიწება დაარქვით. მართალია, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი ვერანაირი განსაკუთრებულობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ გათამაშების გამარჯვებულს ჯერაც დიდი ფასი აქვს.

მაშ ასე, „ტორპედო" ჩემპიონია! მეთერთმეტე ეროვნულის უპირველესი გუნდი.

ათი წელი ელოდებოდა ამ დღეს ქუთაისელი ქომაგი. პირველობაზე ფიქრობდა რუსული მანეთობის დროს, კუპონის პერიოდში და ლარის ზეობისას. ჩვენში ახლაც ლარის დროა, მაგრამ ეროვნულ ვალუტას ცოტა უცხოურიც წაეხმარა და სანუკვარი მიზანიც ასრულდა.

გულშემატკივარი, რომელსაც „ტორპედო" არასდროს მიუტოვებია, გორშიც ახლდა საყვარელ გუნდს. მართალია, გუშინ ნაკლებად აქტიურები და ემოციურები იყვნენ, მაგრამ შეძახილები და კომპლიმენტები მაინც იყო.



საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო". სხედან: იმედაძე, გოგიაშვილი, ჩხეტიანი, ამისულაშვილი, ასათიანი, ბობოხიძე, ჯანაშ... ახვლედიანი, შეყრილაძე და თურმანიძე. დგანან: მელოევი, მახვილაძე, ჭანტურია, სომხიშვილი, ვაჩიბერაძე, ხვადაგიანი, იონანიძე, კვეტენ...

თამაშის შემდეგ ქუთაისელმა ქომაგებმა ტაშით გააცილეს გუნდის ავტობუსი. თვითონ გორში დარჩნენ და, დარწმუნებულიც ვარ, ზოგიერთს ჯიბეში ლარზე მეტი არ ედო. რითი გაბრუნდებოდნენ უკან, ვერ გეტყვით, ალბათ გზაზე ძალიან გაწვალდებოდნენ, მაგრამ მაინც ბედნიერები იყვნენ.

ითამაშა თუ არა „ტორპედომ" ჩემპიონურად? დავიჩემებ, რომ ქუთაისელებს გაცილებით უკეთ თამაში ძალუძთ, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, მეტოქე როგორი ძალისაა.

რად უნდოდა ბევრი ფიცი-მტკიცი იმას, რომ ამჟამინდელი „დილა" „ტორპედოს" ვერ დააბრკოლებდა. გორელებმა გუშინ ერთი სახიფათო შეტევის ორგანიზება ვერ მოახერხეს. სტუმრები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სანუკვარ მიზანს და გამარჯვება წამითაც არ გაუხდიათ საეჭვო.

პირველი გოლი ტორპედოელთა მომავალმა იმედმა — ასათიანმა და ბობოხიძემ გამოჭედეს. მალხაზ ასათიანმა მახვილგონივრული პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა თანაგუნდელი. მიხეილ ბობოხიძემ კი ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმით „ტორპედო" დააწინაურა.

სამიოდ წუთში ზურაბ იონანიძემ თავის საგოლე მონაგარს ერთიც მიუმატა. დათო ჯანაშიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გორელთა მეკარე მდივანმა კინაღამ მოიგერია, მაგრამ იონანიძის დარტყმული ძლიერი და მეტად ზუსტი გახლდათ. მეკარემ ბურთს ოდენ ხელი წაატანა, მისი შეჩერება კი ვერ შეძლო.

სტუმართა მესამე გოლი თამაშის მიწურულს გავიდა. გუშინ „ტორპედოს" კაპიტანმა, დავით ჯანაშიამ იქამდე არ დაისვენა, სანამ არ გაიტანა. დათომ, მასპინძელ მცველებს მოულოდნელად რომ გამოუხტა ზურგსუკან, შეცვლაზე შესულ კვეტენაძეს არ დაუკარგა ამაგი. კახას ფლანგურ გადაცემას ფეხი დაუხვედრა და ბურთიც მესამედ გაეხვა გორელთა კარში.

საჩემპიონო თამაში იყო და ისე ხომ არ დასრულდებოდა, მინდორზე რამე გამორჩეული, ლამაზი არ გვეხილა. ამ მხრივ ქუთაისელთა ბოლო, მეოთხე გოლი გამოირჩეოდა, წოდებას რომ ეკადრებოდა, ისეთი.

გერმანული „შტუტგარტიდან" დაბრუნებულმა გია მეგრელაძემ მართლაც მეფური გოლი გაიტანა. ვერ გეტყვით, ყოველივე როგორ მოახერხა, მაგრამ უხერხულ პოზიციაში მდგომმა მარჯვენა მოიქნია და ბურთს უცნაური ტრაექტორია მოახაზვინა. მდივნის თავგანწირულმა ნახტომმა საქმეს ვერ უშველა. ბურთი მარჯვენა ცხრიანში შეფრინდა.

ოთარ გუნთაძეს მეორე ტაიმისთვის წუთიც არ დაუმატებია. ან რა საჭირო იყო, ისედაც ხომ ცხადი გახლდათ ყველაფერი. საფინალო სასტვენი გაისმა თუ არა, ლოჟაში მოკალათებული „ტორპედოს" პრეზიდენტი მიხეილ ქორქია ფეხზე წამოდგა, ხელებით მოაჯირს დაეყრდნო, სახე ულიმოდა, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ ემოციები მოზღვავებოდა. „გახდი, ბიჭო, ჩემპიონი?" — ჩასძახა ქვემოთ ვილაცას.

ამ დროს „ტორპედოს" სათადარიგო სკამიდან შამპანურის წვიმა წამოვიდა, მინდორზე ფეხბურთელები ერთმანეთს ეხვეოდნენ. იქაც შამპანური ილვრებოდა.

ქუთაისელებს ერთი ყუთი მოემარაგებინათ (უფრო მეტი ქუთაისში გაიხსნებაო), მაგრამ ძალიან მალე დამთავრდა შამპანური. მგონი, წვეთიც არავის დაულევია, ყველა გორის „ცენტრალურზე" დაიღვარა.

„ტორპედოს" სიხარული სულ ხუთ წუთს გაგრძელდა. მერე უცბად ყველაფერი დაწყნარდა. ფეხბურთელები გასახდელიდან ისე გამოვიდნენ, თითქოს რიგითი მატჩი ყოფილიყოს.

მილოცვებსაც ჩვეულებრივად იღ... ბდნენ, დიდი ემოციების გარეშე. თ... თქოს „ტორპედო" თავიდანვე შეგუ... ბული იყო ჩემპიონობას.

სტუმრები მალევე ჩასხდნენ ავტ... ბუსში და ქუთაისის გზას დაადგნ... მათ კიდევ ერთი ტიტულისთვის ბრ... ძოლა ელით. წინ 26 მაისია.

*მიხეილ ქორქია, „ტორპედოს" პრეზ...დენტი:* ჩვენ გავიმარჯვეთ, გამარჯვ... ბულებს კი არ ასამართლებენ. რა... ჩემპიონები გავხდით, ესე იგი ღირს... ბი ვიყავით.

*— ჩემპიონატის დაწყებამდე თუ იფ... ქრებდით, რომ ასეთი დღე დადგებო... და?*

— ჩვენი მიზანი პირველობა იყ... არ დავმალავ, გუნდს ჰქონდა ჩავარ... ნები და ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარებო... და, მაგრამ დავით ყიფიანს რომ ვუყუ... რებდი, რწმენით ვივსებოდი. ის ძალი... ან თავდაჯერებული იყო.

*— წინ თასის ფინალია...*

— დუბლი?! რატომ არა. თასიც „ტო... რპედომ" უნდა მოიგოს.

*დავით ჯანაშია, „ტორპედოს" თავდ... მსხმელი:* თუ არ გახდი ჩემპიონი, ა... გრძნობას ვერ გაითავისებ. სიტყვ... ბით ვერ გადმოვცემ იმ სიხარულს... ალბათ, ვერც გამოვხატავ, რაც გუ... ლში მაქვს. თავიდანვე ჩემპიონობა და... ვისახეთ მიზნად და საწადელი ავის... რულეთ. ეს ჩემი პირველი ტიტულია...

*— რატომ პირველი. აბა, ვერცხ... ლი და თასი ვინ მოიგო?*

— ჩემპიონობასთან ორივე მეორე... ხარისხოვანია.

*— მეთერთმეტე ეროვნულში „ტორპე... დომ" გეგმა გადაჭარბებით შეასრულა... თუ...*

— ჯერ არა, ვნახოთ, 26 მაისი რას მოგვიტანს. თასიც თუ მოვიგეთ, მაშინ ყველაფერი მიღწეული იქნება.

*გიორგი გოგიაშვილი, „ტორპედოს" ნახევარმცველი:* აქამდე შინაგანად რაღაც მუდამ მაკლდა. საქართველოში მეორე ვყოფილვარ, მაგრამ პირველობა მსურდა და მივაღწიე კიდეც.

დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი ჩემპიონობაში არც დავბრუნდებოდი საქართველოში სხვა არაერთი ვარიანტიც მქონდა. კიდევ ჭანტურიას, ჯანაშიას და იონანიძის „ტორპედოში" ყოფნამ იქონია გავლენა. ჩვენ ხომ ყოფილი სამტრედიელები ვართ. რაც მაშინ ვერ მოვახერხეთ, ახლა გავინაღდეთ.

*გრიგოლ ჭანტურია, „ტორპედოს" მეკარე:* რისთვისაც ვიბრძოდით, იმას მივაღწიეთ. ჩემპიონობისკენ სავალი გზა იოლი არ ყოფილა, დიდი ბრძოლები გამოვიარეთ. ჩვენს პირველობაში ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ მაინც, გამოგიტყდებით, არ მეგონა, თუ გათამაშებას ამხელა სხვაობით მოვიგებდით.



გორელი რევაზ ხაჭაპურიძე (ბურთით) და პირველი გოლის გამტანი ტორპედოელი მიხეილ ბობოხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოკომოტივს მერანმა გაუსწრო

თბილისი
22 მაისი
18 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 3:1 ლოკომოტივი**

1:0 გოდერძიშვილი (20), 1:1, 2:1 დავითაშვილი (72, 85), 3:1 როსტიაშვილი (89)
მერანი: ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე, გ. კვეტენაძე (დავითაშვილი 46), კობესაშვილი, კაკაბაძე (ამბიძე 85), ბოლქვაძე (ჭინჭარაული 27), გუჯაბიძე, კარიაული, როსტიაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; კოშკაძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ონიანი, გილაური, გ. ჩხაიძე, გამცემლიძე, პარამონოვი (რუსია 37), ჭიჭველიშვილი, ძოძუაშვილი (ლ. მიქაძე 46), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
სათადარიგონი: ლომაია; ლ. ჩხაიძე, გულორდავა, გველესიანი
გაფრთხილება: გ. ჩხაიძე (58)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**ვანო ოქროპირიძე**

„მერანი" — „ლოკომოტივის" მატჩი წესით და რიგით დღეს უნდა გამართულიყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ რკინიგზელებმა ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართეს, 26 მაისს ჩვენის თასის ფინალი გვაქვს სათამაშო და იქნებ „მერანთან" შეხვედრის თარიღი ერთი დღით გადმოვწიოთო. წინააღმდეგნი არც ავჭალელები ყოფილან და ფედერაციამაც „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის თხოვნა დააკმაყოფილა.

მიუხედავად ამისა, რკინიგზელთა თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი „ტორპედოსთან" თასის ფინალის წინ ტრავმებს და გაფრთხილებებს მოერიდა და „მერანის" წინააღმდეგ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა გაიყვანა. სტუმრებს ლომაია, აბრამიძე, ჩიხრაძე, ხიზანიშვილი, კვარაცხელია, ჯულელი და ხუროძე აკლდათ ფრე ორივე გუნდს ხელს აძლევდა. „მერანიც" და „ლოკომოტივიც" ქულის მოპოვების შემთხვევაში პირველ ლიგაში ადგილს საბოლოოდ შეინარჩუნებდა. თამაშიც ისე დაიწყო, ბევრმა მაშინვე ფრე იწინასწარმეტყველა. ნელი ტემპი, ბურთის წყნარი გორება. გუნდები შეტევას სულაც არ ცდილობდნენ, კარში დარტყმაზე არაფერს ვამბობთ. ტაიმის თითქმის ნახევარი ასე გაილია. მერე კი...

მე-20 წუთი მიმდინარეობდა, როცა დავით გოდერძიშვილმა მასპინძელთა ნახევარზე მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, „მერანის" დაცვა წუთით მოდუნდა, რომ გამოფხიზლდა, ბურთი უკვე ბადეში იყო. გოდერძიშვილმა იოლად ჩამოიცილა ორი მეურვე და საჯარიმოში შესულმა ნაჭყეპიას მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ თამაში ძველი სცენარით გაგრძელდა. ტაიმის მიწურულმა ისე მოატანა, ერთი საგოლე მომენტი არ შექმნილა. ბოლო წუთებზე კი „ლოკომოტივი" გადარჩა კუთხურიდან კარიაულის ჩაწოდებულ ბურთს კაკაბაძემ თავი დაარტყა, მცველებმა იმარჯვეს, ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანეს.

„მერანი" გუნდს 65-ე წუთიდან დაემსგავსა. ამაში წვლილი მეორე ტაიმში შესულმა სულიკო დავითაშვილმა შეიტანა მასპინძლები პრესინგზე გადავიდნენ და მეტოქე თავის ნახევარს მიაჯაჭვეს. მერანელთა მონდომებამ შედეგი გამოიღო. ჯერ იყო და დავითაშვილმა როსტიაშვილთან გაითამაშა ბურთი და ოდნავ ააცილა კარს, მერე დევიძემ ითამაშა კარგად, შორიდან ჩინებულად დაარტყა, მაგრამ მას არც მეკარე ჩამორჩა, ასლანაძემ ცხრიანში მიმავალი ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურს კი გოლი მოჰყვა. სტუმრებმა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი დავითაშვილისკენ მოიგერიეს, აბრეზამაც ახლოდან, ნახევარბრუნვით გამოზომილად დაარტყა, მას ვერც ასლანაძე მისწვდა და ვერც კარის ხაზზე მდგომი მცველები და ანგარიშიც გათანაბრდა. მერანელები არც ამის შემდეგ გაჩერებულან. მართალია, ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ მაინც მთელი გუნდით უტევდნენ და კინაღამ დაისაჯნენ. კონტრშეტევისას მასპინძლებმა კუთხურზე მოიგერიეს ბურთი. იქიდან ჩაწოდებული არეულობის შემდეგ რუსიას მიუგორდა, რომელსაც ოდნავ უმტყუნა მიზანმა. ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. ამას მერანელთა შეტევა მოჰყვა, თუმც „ლოკომოტივმა" მდგომარეობის განმუხტვა შეძლო, დროებით. დავითაშვილი რკინიგზელებს ჩაუსაფრდა, მეტოქეს პასი ჩაუჭრა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. „აბრეზას" ასლანაძის მოტყუება და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია. ანგარიში 2:1 გახდა და...

„მერანი" მაინც არ დაცხრა. 88-ე წუთზე ჭინჭარაულისა და როსტიაშვილის დარტყმების შემდეგ „ლოკომოტივი" სასწაულებრივ გადარჩა. წუთის შემდეგ დავითაშვილმა როსტიაშვილი მეკარეს შეატოვა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა — 3:1.

მართალია, „ლოკომოტივი" თასზე ფიქრობს, მაგრამ ველარც ბოლო მატჩს შეხედავს მშვიდად. 31 მაისს „გორდასთან" წაგების შემთხვევაში ძოძუაშვილის გუნდი იქნებ გავარდეს კიდეც. არც თასის მოპოვებაა იოლი. ტორპედოელები წლეულს დუბლის შესრულებას აპირებენ და ფინალისთვისაც სერიოზულად ემზადებიან. ამას ერთი ფაქტიც მოწმობს — ყიფიანმა ამ შეხვედრაზე კლუბის ვიდეოოპერატორი მოავლინა. „მერანი" კი...

ამ მოგებით ავჭალელებმა რკინიგზელებს გაუსწრეს და ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე „ბ" ზონის ჩემპიონობაც დაიბევს.

— წლეულს ჩვენი ამოცანა შევასრულეთ, ლიგაში დავრჩით, გაისად აუცილებლად სამეულისთვის ვიბრძოლებთო, განუცხადა „სარბიელს" კლუბის პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ.



მერანელმა ოთარ როსტიაშვილმა ლოკომოტიველი გუნდი კაციაშვილი ბურთს არ გააკარა

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი „ა" ზონა XIX ტური

18 მაისი

**სულორი 2:5 ინტერი**

1:0 მიქელთაძე (18), 1:1 არსენიძე (22), 1:2 გალოგრე (53), 1:3 გორგოძე (55), 2:3 მიქელთაძე (65), 2:4 გორგოძე (83), 2:5 გალოგრე (85)
გაფრთხილება: ჯავახაძე (ინტერი)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**ოკეანე 5:1 მეშახტე**

1:0 ლორთქიფანიძე (42), 2:0 კრავეიშვილი (44), 3:0 გოგავა (55), 4:0, 5:0 კრავეიშვილი (64, 72), 5:1 ხელაძე (81პ)
ხელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (85, მეშახტე)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**რწმენა 1:1 გაგრა**

0:1 მანაგაძე (17), 1:1 დ. ხაჭაპურიძე (90)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**მეტალურგი 4:2 იბერია 2**

0:1 ნაროუშვილი (60), 1:1, 2:1 ქურციკიძე (64, 75), 3:1 აჭარაძე (78), 4:1 ქურციკიძე (82), 4:2 ნაროუშვილი (85)
გაფრთხილება: გავაშელიძე, აჭარაძე (ორივე მეტალურგი), ონიანი, ნაროუშვილი (ორივე იბერია 2)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**მარგვეთი 5:0 რაჭა**

1:0 მუმლაძე (23), 2:0 ენდელაძე (34პ), 3:0 გეწაძე (40), 4:0 ლონლაძე (60), 5:0 ბარდაველიძე (84)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**გურია 5:2 მალაროელი**

21 მაისი

XIII ტურის გამოტოვებული მატჩი

**მეშახტე 2:3 ინტერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 20 | 16 | 4 | 0 | 65:16 | 52 |
| ოკეანე | 20 | 12 | 5 | 3 | 46:23 | 41 |
| მეტალურგი | 20 | 11 | 5 | 4 | 37:23 | 38 |
| იბერია 2 | 20 | 10 | 6 | 4 | 42:25 | 36 |
| ინტერი | 20 | 9 | 6 | 5 | 32:22 | 33 |
| გაგრა | 20 | 6 | 8 | 6 | 27:31 | 26 |
| რაჭა | 20 | 5 | 6 | 9 | 26:33 | 21 |
| სულორი | 20 | 5 | 5 | 10 | 27:50 | 20 |
| გურია | 20 | 6 | 1 | 13 | 31:39 | 19 |
| რწმენა | 20 | 4 | 7 | 9 | 13:26 | 19 |
| მალაროელი | 20 | 3 | 5 | 12 | 25:41 | 14 |
| მეშახტე | 20 | 2 | 4 | 14 | 23:65 | 10 |

### დასავლეთი „ბ" ზონა XX ტური

18 მაისი

**სქური 0:3 კოლხეთი 2**

0:1 კვირკველია (37), 0:2, 0:3 კრასოვსკი (40, 55)
გაფრთხილება: როგავა, ქობალია, ჯოლია (ყველა სქური)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**შუქურა 1:0 ლაზიკა**

1:0 ყულეჯიშვილი (16)
გაფრთხილება: ჭითანავა (ლაზიკა)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბათუმი 2 4:1 ბახმარო**

1:0 ფურცხვანიძე (14), 2:0, 3:0 დარჩიძე (32, 54), 4:0 ჩიჩუა (75), 4:1 დოლიძე (89)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**მეგრი 2:0 ფაზისი**

19 მაისი

**ზუგდიდი 7:0 სამეგრელო**

1:0, 2:0 ჯოლოხავა (20პ, 39), 3:0 ჩიქობავა (43), 4:0 საჯაია (45პ), 5:0 ბერულავა (54), 6:0 ჭანაშია (75), 7:0 თორია (83)
გაფრთხილება: ქარჩავა (სამეგრელო)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მერცხალი 3:2 ჩელა**

21 მაისი

XIX ტურის გამოტოვებული მატჩი

**ჩელა 0:1 სქური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 20 | 16 | 2 | 2 | 58:19 | 50 |
| ზუგდიდი | 20 | 14 | 3 | 3 | 59:20 | 45 |
| მეგრი | 20 | 14 | 2 | 4 | 32:14 | 44 |
| კოლხეთი 2 | 20 | 13 | 4 | 3 | 32:14 | 43 |
| ლაზიკა | 20 | 11 | 5 | 4 | 48:19 | 38 |
| ფაზისი | 20 | 9 | 3 | 8 | 32:32 | 30 |
| სქური | 20 | 6 | 2 | 12 | 25:47 | 20 |
| სამეგრელო | 20 | 4 | 5 | 11 | 20:40 | 17 |
| ბათუმი 2 | 20 | 3 | 8 | 9 | 23:35 | 17 |
| მერცხალი | 20 | 3 | 6 | 11 | 19:40 | 15 |
| ჩელა | 20 | 2 | 4 | 14 | 18:48 | 10 |
| ბახმარო | 20 | 2 | 2 | 16 | 17:55 | 8 |

გამთავრებული გუნდები გაისად მეორე ლიგაში ითამაშებენ

### აღმოსავლეთი „ა" ზონა XIX ტური

18 მაისი

**არაგვი 3:1 ვარძია**

1:0 ღარიბაშვილი (6პ), 1:1 კოხრეიძე (11), 2:1, 3:1 ი. ჩიტაური (30, 44)
მსაჯი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**ცხინვალი 3:1 მესხეთი**

1:0 მარგიევი (55პ), 2:0, 3:0 ეჯოშვილი (65, 69), 3:1 ინასარიძე (80)
გაფრთხილება: წიქარიშვილი, ინასარიძე, ბითაროვი (ყველა მესხეთი), ხახიშვილი, ბოჭორაძე, ცხადაძე, ეჯოშვილი (ყველა ცხინვალი)
გაძევება: ბერძენიშვილი (?, მესხეთი)
მსაჯი: ი. კახიანი

**ცხუმი 5:2 საუ**

1:0 ჭანტურიძე (6), 2:0 ხუხია (8), 2:1 ხაჩიძე (16), 3:1 ხუხია (58), 4:1 გაგილაძე (72), 4:2 კავთუაშვილი (75), 5:2 ბოჯგუა (81)
ჯავახიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (86, ცხუმი)
გაფრთხილება: ე. შენგელია, მაჭარაშვილი, კიზირია (ყველა საუ), მებაღიშვილი (ცხუმი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ივერია 3:0 განთიადი**

„განთიადს" ჩაეთვალა წაგება

19 მაისი

**მრეტები 0:2 იბერია**

0:1 კოჩაძე (40), 0:2 ხიდაშელი (82)
გაფრთხილება: ჩახვაძე, ბოგვერაძე (ორივე მრეტები), უგრეხელიძე, ხიდაშელი (ორივე იბერია)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 18 | 14 | 2 | 2 | 38:6 | 44 |
| თორი | 18 | 13 | 2 | 3 | 36:13 | 41 |
| ივერია | 18 | 12 | 0 | 6 | 41:20 | 36 |
| იბერია | 18 | 10 | 2 | 6 | 27:17 | 32 |
| მესხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 42:33 | 28 |
| ცხუმი | 18 | 8 | 2 | 8 | 33:25 | 26 |
| განთიადი | 18 | 7 | 1 | 10 | 23:38 | 22 |
| საუ | 19 | 6 | 1 | 12 | 23:37 | 19 |
| მრეტები | 18 | 3 | 5 | 10 | 16:35 | 14 |
| ვარძია | 18 | 4 | 2 | 12 | 16:45 | 14 |
| არაგვი | 19 | 4 | 1 | 14 | 20:46 | 13 |

„განთიადი" მოიხსნა გათამაშებიდან

### აღმოსავლეთი „ბ" ზონა XIX ტური

18 მაისი

**ლოკომოტივი 2 0:0 ზოოვეტი**

გაფრთხილება: ი. სილაგაძე, შედანია, ქოხონელიძე, ჩიმაკაძე (ყველა ზოოვეტი), სალუქვაძე, შავშიაშვილი (ორივე ლოკომოტივი 2)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ამირანი 1:2 არსენალი 2**

0:1 ნ. ჩალაძე (11), 0:2 ჭალიაშვილი (20), 1:2 საბიაშვილი (43)
გაფრთხილება: დავითაშვილი, მელიქია (ორივე ამირანი), პაპუაშვილი (არსენალი 2)
გაძევება: მელიქია (?, ამირანი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე

19 მაისი

**ალაზანი 5:0 თბილისი 2**

1:0 ტარიელაშვილი (25), 2:0 მანწკავა (51), 3:0 ტოკლიკიშვილი (75), 4:0 თელიაშვილი (81), 5:0 ტარიელაშვილი (87)
გაფრთხილება: ჯღარკავა, სახურია (ორივე თბილისი 2), გ. ჩიტაური (ალაზანი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**ჭაბუკიანი 1:1 აკადემია**

0:1 ბახტაძე (35), 1:1 მერებაშვილი (62პ)
გაფრთხილება: ჩაჩიბაია, მახარაძე (ორივე აკადემია)
გაძევება: გ. ხიზანიშვილი (60, აკადემია)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**დურუჯი 0:3 სამგორი**

„დურუჯს" ჩაეთვალა წაგება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 18 | 13 | 3 | 2 | 33:12 | 42 |
| არსენალი 2 | 18 | 12 | 4 | 2 | 39:18 | 40 |
| ალაზანი | 18 | 12 | 2 | 4 | 47:18 | 38 |
| ჭაბუკიანი | 18 | 11 | 3 | 4 | 34:12 | 36 |
| ზოოვეტი | 18 | 9 | 5 | 4 | 36:27 | 32 |
| ამირანი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:36 | 24 |
| ხალიბი | 18 | 6 | 2 | 10 | 23:32 | 20 |
| აკადემია | 18 | 4 | 6 | 8 | 12:14 | 18 |
| თბილისი 2 | 18 | 4 | 4 | 10 | 21:35 | 16 |
| სამგორი | 19 | 3 | 1 | 15 | 20:55 | 10 |
| დურუჯი | 17 | 2 | 1 | 14 | 12:44 | 7 |

„დურუჯი" მოიხსნა გათამაშებიდან

# ერთი ნაკრები ორია

## ერთი ბაქოში ითამაშებს, მეორე კი ტალინში


ბადრი ოდიშარიას ფოტო

ნაკრების ახალწვეული, „ბათუმის“ თავდამსხმელი ლევან ხომერიკი (მარცხნივ)

საქართველოს ნაკრები 4 ივნისს ბაქოში აზერბაიჯანელებთან და 10-ში ტალინში ესტონელებთან ამხანაგურად გაჯიბრებას იმდენი ფეხბურთელით აპირებს, ორ გუნდს რომ გასწვდება.

გუშინ ნაკრების მწვრთნელთაგანმა რევაზ ძოძუაშვილმა ის ფეხბურთელები ჩამოგვითვალა, რომლებიც ორიდან ერთ მეტოქესთან აუცილებლად ითამაშებენ. რომლები რომელთან ეს ჯერჯერობით მწვრთნელებს არ გადაუწყვეტიათ, თუმცა კი ნაღდი ისაა, რომ ლატვიის „სკონტოს“ ქართველები — ჩალაძე, რეხვიაშვილი და მენთეშაშვილი ნაკრებში სათამაშოდ გრძელ გზას არ გაივლიან და გუნდს ლატვიის მეზობელ ესტონეთში დახვდებიან.

ძოძუაშვილისა და ყიფიანის სიაში ამჯერად ერთი დებიუტანტია — ფოთის „კოლხეთის“ მცველი ჯონი შალამბერიძე. ორიც ვეტერანად შეგვიძლია ჩავთვალოთ, კახა გოგიჩაიშვილი და რევაზ არველაძე ასაკითაც დანარჩენებზე უფროსები არიან და ნაკრებშიც კარგა ხანია აღარ უთამაშიათ. დანარჩენები კი... მწვრთნელებმა სადღეისოდ უძლიერეს შემადგენლობას უხმეს.

*მეკარეები:* სოსო გრიშიკაშვილი („დინამო“), ნიკა ტოგონიძე („ბათუმი“), დავით გვარამაძე („კრილია სოვეტოვი“, სამარა, რუსეთი);

*მცველები:* ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე „ლოკომოტივი“), სევასტი თოდუა („ვიტ ჯორჯია“), ლევან სილაგაძე („ალანია“ ვლადიკავკაზია, რუსეთი), კახა კალაძე („დინამო“, კიევი, უკრაინა), ჯონი შალამბერიძე („კოლხეთი“);

*ნახევარმცველები:* გიორგი ნემსაძე („დანდი“, შოტლანდია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე („დერბი“, ინგლისი), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი“, ინგლისი), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), ზურაბ მენთეშაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო“, რიგა, ლატვია), რევაზ არველაძე, თენგიზ სიჭინავა (ორივე „დინამო“), კახა გოგიჩაიშვილი („ლოკომოტივი“);

*თავდამსხმელები:* შოთა არველაძე („აიაქსი“ ამსტერდამი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი“, გერმანია), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“), გიორგი დემეტრაძე („დინამო“, კიევი), ზურაბ იონანიძე („ტორპედო“), დავით ჩალაძე („სკონტო“), მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი“)

ამ ფეხბურთელებს ალბათ ჩელსელი რატი ალექსიძე, ბათუმელი ლევან ხომერიკი და უკრაინული ცეესკას ნახევარმცველი ვიტალი დარასელია დაემატებიან. კვლავ ტრავმირებულია მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია.

საქართველოს ნაკრები ბაქოს 3 ივნისს ჩარტერული რეისით გაფრინდება, მეორე დღეს კი „ტოფიკ ბახრამოვზე“ იქაური დროით 18 საათზე ითამაშებს.

**კობა ინასარიძე**

# გთხოვთ, გამათავისუფლოთ

## დურუჯი ეროვნულ ჩემპიონატს დაემშვიდობა

ასეა, ფეხბურთი მძიმე ტვირთია ჩვენში. უსახსრობით გატანჯული და დაშლილი გუნდებიც ბოლო დროს ერთობ მოუმრავლდა ქართულ ფეხბურთს. აგერ, სულ ორი კვირაც არ გასულა, რაც კასპის „განთიადი“ ეროვნულ ჩემპიონატს ჩამოშორდა და კიდევ ერთი რეგიონალურლიგელიც მის გზას დაადგა. მძიმე ხვედრი (ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და ბევრმა დაისვენა) ყვარლის „დურუჯს“ ხვდა წილად. 15 მაისს „დურუჯი“ რუსთავში ვერ ჩავიდა „ხალიბთან“ სათამაშოდ. ოთხი დღის შემდეგ კი „სამგორსაც“ ვერ დაუხვდა შინ.

განცხადების ბანალური ტექსტი ხომ გახსოვთ, ოჯახური პირობების გამო გთხოვთ გამათავისუფლოთ... და ასე შემდეგ, სწორედ ასე გამოუვიდათ კახელებსაც. გაუარესებულ ოჯახურ პირობებში, ბუნებრივია, ფინანსური სიდუხჭირე იგულისხმებოდა და დურუჯის მესვეურებმაც განცხადებით მიმართეს ფედერაციას, მეტის საშუალება აღარ გვაქვს, გაგვიშვით, თქვენც დაისვენებთ და ჩვენცო. სფფ-ს რაღა ექნა და შედეგად რეგიონალური ლიგის აღმოსავლეთი ჯგუფი კიდევ ერთი გუნდით შეთხელდა.

ისე, ყვარლელთა ამგვარი გადაწყვეტილება ცოტათი მოულოდნელიც კი იყო, ჩემპიონატის დასრულებამდე სულ რაღაც ოთხი მატჩი რჩებოდათ ჩასატარებელი და ჩაემთავრებინათ ბარემ სეზონი დალოცვილისშვილებს,მაგამ, როგორც ჩანს, კახელთა გასაჭირი ზღვარს გადასცდა და ყვარელიც უფეხბურთოდ დარჩა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 1995-96 წლებში ყვარლის „დურუჯი“ რჩეულთა შორისაც გამოდიოდა, თუმც ამ გუნდმა პირველ ჯგუფში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო, 30 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ იმარჯვა, ჯამში 127 ბურთი გაუშვა და დღემდე ერთი საფეხურით დაბალ ჯგუფში ასპარეზობდა.

**პაატა ძვანტალიანი**

Perla ჯემლია

პ ე რ ლ ა

Perla ჯემლია

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXXIV ტური

### ვოლფსბურგი 2:1 ფრაიბურგი

1:0 რიშე (39), 2:0 იუსკოვიაკი (82), 2:1 ცაიერი (87)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ონილი, ტომსენი, ნოვაკი, აკონორი (მალტრიცი 90), გრაინერი, ვაისერი, მუნტეანუ (დამაიერი 74), იუსკოვიაკი, რიშე (ბანზა 80)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ფრაიბურგი: როისი, შუმანი, დიარა, ა. ცაიერი, ვილი, კონდე (ცქიტიშვილი 74), კობიაშვილი, ვაისჰაუპტი (რამდანე 46), ბაია, ფ. ბრუნსი (კორელი 46), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: გრაინერი, მუნტეანუ
მსაჯი: ალბრეხტი
18 197 მაყურებელი

### უნტერჰახინგი 2:0 ლევერკუზენი

1:0 ბალაკი (20ს.კ.), 2:0 ობერლაიტნერი (72)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, შტრაუბე, ჰაბერი, მატიას ციმერმანი, დ. შვარცი, ობერლაიტნერი (ბუხერი 80), რაკლი (ბრაიტენრაიტერი 71), ზაიცი (გარსია 89)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი (პაულო რინკი 46), ემერსონი, ბაინლიხი, ბ. შნაიდერი, ბალაკი (ბრდარიჩი 67), ნოივილი (პონტე 74), ზე რობერტო, კირსტენი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ზაიცი, შნაიდერი, კოვაჩი
მსაჯი: ფანდელი
11 000 მაყურებელი

### ბაიერნი 3:1 ვერდერი

1:0, 2:0 იანკერი (2, 12), 3:0 პაულო სერჟიო (16), 3:1 ბოდე (40)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, შოლი, იანკერი (სანტა კრუზი 44, ციკლერი 49, შტრუნცი 55)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, აილტსი, ბარტენი, მ. ბოდე, ტრარესი (მაქსიმოვი 38), ვიკი, ა. ჰერცოგი, ფრინგსი (დაბროვსკი 24), პიზარო, აილტონი (ბოგდანოვიჩი 69)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, აილტონი, ჰერცოგი, ტიკუზუ
მსაჯი: მერკი
63 000 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 1:1 მიუნხენი

1:0 რამზი (55), 1:1 ბასლერი (67ს.კ.)
ბასლერმა ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, ჰ. კოხი, რამზი (კომლიენოვიჩი 82), შონბერგი, ბასლერი, ხრისტოვი, შტრასერი, რატინიო (რაიხი 68), სფორცა, მარშალი, პეტერსონი (ტარე 74)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი (დ. ჰოფმანი 53), კურცი, ზელიჩი, შტრანცლი, ბორიმიროვი, რიდლი, ტაისი, ჩერნი (შროტი 63), პროსენიკი (ტაპალოვიჩი 73), აგოსტინო, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ხრისტოვი, მარშალი, მ. ჰოფმანი, კურცი, შტრანცლი, ტაისი
მსაჯი: აუსტი
41 500 მაყურებელი

### ჰერთა 0:3 დორტმუნდი

0:1, 0:2 ბარბარესი (58, 87), 0:3 დედე (89)
ჰერთა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი (დაეი 59), სვერისონი, შმიდტი, ვაიტი (როი 61), დაისლერი, ჰარტმანი (სანე 46), ვოში, პრეეცი, ალექს ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, ადო (ბარბარესი 36), მიოლერი, რიკენი, ბობიჩი (ტანკო 89)
მწვრთნელი: უდო ლატეკი
გაფრთხილება: ჰარტმანი, ბარბარესი, სტევიჩი
გაძევება: დედე (89)
მსაჯი: ფლიშერი
75 000 მაყურებელი

### შტუტგარტი 3:3 არმინია

1:0 ტიამი (5), 2:0 გერბერი (14), 3:0 განეა (38), 3:1 მაისნერი (43), 3:2 ლაბადია (59), 3:3 ვაისენბერგერი (76)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი, სოლდო, კელერი, კარნელი, ტიამი, ლისტეში (ენდრესი 63), პინტო (ჰოსნი 81), გერბერი, დანდი (კუკა 63), განეა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
არმინია: ციგლერი, კლიცპერა, შტრატოსი, ვატერინკი, შ. ბოდე (ფენჩი 82), მაული, მაისნერი, ვაისენბერგერი, ვან დერ ვენი (განსაუგე 46), ვიშნიარეკი (რიდლევიჩი 77), ლაბადია
მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი
გაფრთხილება: ტიამი, ვიშნიარეკი
მსაჯი: შტარკი
23 000 მაყურებელი

### დუისბურგი 1:1 ჰამბურგი

0:1 კოვაჩი (6), 1:1 ვოლტერსი (20)
დუისბურგი: სტაუჩე (კრემერი 64), ემერლინგი, ჰაიტო, ვოლერტი, დრსეკი, ვოლტერსი, შტეფენი, კეიდელი, მ. ცაიერი (ვედაუ 62), რაისი, ბაიერლე (გუვენისიკი 81)
მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა (ფ. ერნსტი 46), პანადიჩი (გრამოცისი 49), ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, გროთი, გრავესენი, მაჰდავიკია (დოლი 72), პრეგერი, იუსალი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ჰაიტო, იუსალი
მსაჯი: კემლინგი
16 338 მაყურებელი

### შალკე 0:2 ჰანზა

0:1 აგალი (20), 0:2 ბრანდი (56)
შალკე: რეკი, აიგენრაუხი, ვალდოხი, ტონი (მიულერი 83), კამპუისი (ალპუგანი 58), ვან ჰუგდალემი (მოლარი 73), ლატალი, ვილმოტსი, ასამოა, სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ვაილანდტი, ლანგე (რ. შნაიდერი 89), ცალმანი, ოსვალდი, ლანცი, ემარა, ვიბრანი, ბრანდი, აგალი (მაიაკი 77), არვიდსონი (ბაუმგარტი 67)
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
გაფრთხილება: ასამოა, აგალი, ლანგე, ცალმანი
მსაჯი: შტრამპე
41 000 მაყურებელი

### აინტრახტი 2:1 ულმი

1:0 სალუ (24), 1:1 ვან დერ ჰაარი (41), 2:1 ჰელდტი (89პ)
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, შური, რასიევსკი, გუიე მიენი (რაიხენბერგერი 84), სობოტჩიკი (ბინდევალდი 78), ჰელდტი, სალუ (ფიორტოფტი 67), ჩენ იანგი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ულმი: ლაუქსი, კონრადი, მარკეში, შტადლერი, კინკელი (ტრკულია 70), ოტო, მაიერი (შარინგერი 76), უნსოლდი, ლეანდრო, ზდრილიჩი, ვან დერ ჰაარი (გორა 64)
მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი
გაფრთხილება: ფიორტოფტი, შური, კინკელი, კონრადი, მაიერი, ტრკულია
მსაჯი: კრუგი
58 245 მაყურებელი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 34 | 22 | 7 | 5 | 73:28 | 45 | 73 | 17 | 12 | 3 | 2 | 50:17 | 33 | 39 | 17 | 10 | 4 | 3 | 23:11 | 12 | 34 |
| 2 | ლევერკუზენი | 34 | 21 | 10 | 3 | 74:36 | 38 | 73 | 17 | 13 | 4 | 0 | 44:17 | 27 | 43 | 17 | 8 | 6 | 3 | 30:19 | 11 | 30 |
| 3 | ჰამბურგი | 34 | 16 | 11 | 7 | 63:39 | 24 | 59 | 17 | 11 | 4 | 2 | 37:11 | 26 | 37 | 17 | 5 | 7 | 5 | 26:28 | -2 | 22 |
| 4 | მიუნხენი | 34 | 14 | 11 | 9 | 55:48 | 7 | 53 | 17 | 11 | 3 | 3 | 36:20 | 16 | 36 | 17 | 3 | 8 | 6 | 19:28 | -9 | 17 |
| 5 | ლაუტერნი | 34 | 15 | 5 | 14 | 54:59 | -5 | 50 | 17 | 8 | 3 | 6 | 31:28 | 3 | 27 | 17 | 7 | 2 | 8 | 23:31 | -8 | 23 |
| 6 | ჰერტა | 34 | 13 | 11 | 10 | 39:46 | -7 | 50 | 17 | 8 | 7 | 2 | 23:14 | 9 | 31 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:32 | -16 | 19 |
| 7 | ვოლფსბურგი | 34 | 12 | 13 | 9 | 51:58 | -7 | 49 | 17 | 9 | 4 | 4 | 29:26 | 3 | 31 | 17 | 3 | 9 | 5 | 22:32 | -10 | 18 |
| 8 | შტუტგარტი | 34 | 14 | 6 | 14 | 44:47 | -3 | 48 | 17 | 6 | 2 | 9 | 22:28 | -6 | 20 | 17 | 8 | 4 | 5 | 22:19 | 3 | 28 |
| 9 | ვერდერი | 34 | 13 | 8 | 13 | 65:52 | 13 | 47 | 17 | 10 | 3 | 4 | 41:25 | 16 | 33 | 17 | 3 | 5 | 9 | 24:27 | -3 | 14 |
| 10 | უნტერჰახინგი | 34 | 12 | 8 | 14 | 40:42 | -2 | 44 | 17 | 10 | 5 | 2 | 22:10 | 12 | 35 | 17 | 2 | 3 | 12 | 18:32 | -14 | 9 |
| 11 | დორტმუნდი | 34 | 9 | 13 | 12 | 41:38 | 3 | 40 | 17 | 4 | 7 | 6 | 21:21 | 0 | 19 | 17 | 5 | 6 | 6 | 20:17 | 3 | 21 |
| 12 | ფრაიბურგი | 34 | 10 | 10 | 14 | 45:50 | -5 | 40 | 17 | 8 | 4 | 5 | 29:19 | 10 | 28 | 17 | 2 | 6 | 9 | 16:31 | -15 | 12 |
| 13 | აინტრახტი | 34 | 12 | 5 | 17 | 42:44 | -2 | 39 | 17 | 9 | 3 | 5 | 29:14 | 15 | 30 | 17 | 3 | 2 | 12 | 13:30 | -17 | 11 |
| 14 | შალკე | 34 | 8 | 15 | 11 | 42:44 | -2 | 39 | 17 | 4 | 10 | 3 | 21:17 | 4 | 22 | 17 | 4 | 5 | 8 | 21:27 | -6 | 17 |
| 15 | ჰანზა | 34 | 8 | 14 | 12 | 44:60 | -16 | 38 | 17 | 7 | 7 | 3 | 25:22 | 3 | 28 | 17 | 1 | 7 | 9 | 19:38 | -19 | 10 |
| 16 | ულმი | 34 | 9 | 8 | 17 | 36:62 | -26 | 35 | 17 | 7 | 4 | 6 | 22:23 | -1 | 25 | 17 | 2 | 4 | 11 | 14:39 | -25 | 10 |
| 17 | არმინია | 34 | 7 | 9 | 18 | 40:61 | -21 | 30 | 17 | 4 | 6 | 7 | 22:24 | -2 | 18 | 17 | 3 | 3 | 11 | 18:37 | -19 | 12 |
| 18 | დუისბურგი | 34 | 4 | 10 | 20 | 37:71 | -34 | 22 | 17 | 2 | 8 | 7 | 20:25 | -5 | 14 | 17 | 2 | 2 | 13 | 17:46 | -29 | 8 |

„აინტრახტს“ დაკლებული აქვს 2 ქულა

# ბაიერის ნაცვლად ბაიერნი!




REUTERS მიუნხენიდან

მადლობა „უნტერჰახინგს“ — ბავარიელები მეთექვსმეტედ გაჩემპიონებას მეზობლებს უმადლიან

„მთელი სეზონი კარგად ჩავატარეთ. ბოლო კვირეებში უმძიმესი მატჩები მოვიგეთ, თანაც კარგ ფეხბურთს ვაჩვენებდით, მაგრამ... „უნტერჰახინგმა“ დღეს თავის თავს აჯობა. ახლა გასახდელში ნამდვილი გლოვა სუფევს, ეს სიკვდილის ტოლფასია. ძალიან იმედგაცრუებულები ვართ“ — ეს სიტყვები „ლევერკუზენის“ მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა შაბათს ნამატჩევს წარმოთქვა.

ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ტური ძალიან დრამატული გამოდგა. „ლევერკუზენს“ ისტორიაში პირველი ჩემპიონობისთვის სტუმრად „უნტერჰახინგთან“ ქულაც ჰყოფნიდა. თითქოს იოლი ამოცანა იყო, მაგრამ...

ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ გახდა. ბავარიელებმა შაბათს ბრემენის „ვერდერი“ იწვიეს და მე-16 წუთზე უკვე 3:0 იგებდნენ. მერე კი მთელი ყურადღება მეზობელ ქალაქს მიაპყრეს (მათი ბედი სწორედ უნტერჰახინგულ მატჩზე ეკიდა), იქ კი...

ყველას რომ ეგონა, „ლევერკუზენი“ მეტოქეს გააცამტვერებდა, პირიქით მოხდა. შაბათის მატჩით თუ ვიმსჯელებთ, „ლევერკუზენი“ ჩემპიონობას არ იმსახურებდა. ასე უჯიგროდ და მოუნდომებლად დაუმის შეგირდებს წლეულს არ უთამაშიათ. კი ბატონო, სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში უდავო უპირატესობას ფლობდნენ, საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ მათ შეტევებს მარილი აკლდა. თანაც „უნტერჰახინგს“ იმ დღეს მეკარე ტრემელი და მწვრთნელი გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი ჰყავდა.

დიდი გაიძვერა ყოფილა კიოსტნერი. პარასკევს ადგა და თქვა, „ლევერკუზენი“ 99 პროცენტით ჩემპიონია, აბა, პატარა კაცს დიდთან როდის რა გასვლიაო. ერთი სიტყვით, ძალა აღმართს ხნავსო და მსგავსი რამერუმეები ილაპარაკა, ბოლოს ისიც დააყოლა, პირველი მე მივულოცავ დაუმს ჩემპიონობასო, გულში კი თურმე რა სდებია.

შაბათს „უნტერჰახინგმა“ წლეულს (იქნებ კლუბის ისტორიაშიც) საუკეთესო მატჩი ითამაშა. ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს, თამაშში სული და გული ჩააქსოვეს და 2:0 მოიგეს.

ახლა გერმანიაში იმასაც ამბობენ, „უნტერჰახინგმა“ „ბაიერნის“ პრეზიდენტისა და ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის გული საბოლოოდ მოიგო და პირველ ბუნდესლიგაში ადგილი მინიმუმ ორი წლით ამთავითვე დაიბევა, ანუ გაისად ამ კლუბს არავინ გააგდებსო (ასეთი რამეები თურმე იქაც ხდება).

ანგარიში მე-20 წუთზე გაიხსნა — ბალაკმა საკუთარ კარში გაიტანა. მეორე ტაიმში „უნტერჰახინგი“ სულ ერთხელ მიუახლოვდა, მატიშეკის კარს, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა — 72-ე წუთზე ზაიცის პასით ობერლაიტნერმა ლევერკუზენელები შოკში ჩააგდო. რინკის, კირსტენის, ზე რობერტოს, ნოივილისა და სხვების მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. „ლევერკუზენიც“ 9 თებერვლის შემდეგ პირველად დამარცხდა, თუმც ეს აღარავის გახსენებია.

„ბაიერნი“ — „ვერდერის“ მატჩის გმირი კი მიუნხენელი იანკერი გახდა, რომელმაც თავისი გუნდის გამარჯვებას საძირკველი ჩაუყარა. მან ჯერ მეორე წუთზე ივაჟკაცა, როცა ბაბელის ჩაწოდებული თავით გოლად აქცია, მალე კი პაულო სერჟიოს დაუფასა გარჯა და ისევ თავით 2:0 გახადა. მე-16 წუთზე თავად პაულო სერჟიომაც იხეირა. „ვერდერმა“ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო. ამ შეხვედრაში კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. 44-ე წუთზე იანკერი დაშავდა და ჰიცფელდმაც სანტა კრუზით შეცვალა, 49-ეზე ისიც შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად ორთვიანი პაუზის შემდეგ ციკლერი გამოჩნდა მინდორზე, რომელსაც მორჩენილი ტრავმა ექვს წუთში გაუმიზეზდა და მწვრთნელიც იძულებული გახდა, შეეცვალა, მინდორზე, მეორე წრეში პირველად, შტრუნცი გამოვიდა. ისიც მძიმედ იყო დაშავებული.

მატჩის შემდეგ ჰიცფელდს ბევრი არ უსაუბრია, გახარებულმა მწვრთნელმა „უნტერჰახინგს“ მადლობა გადაუხადა, არც ქება დააკლო, ბოლოს კი დასძინა, კრისტოფ დაუმი ძალიან მეცოდებაო.

ახლა ქართველებზეც ვთქვათ. „ფრაიბურგის“ თავკაცმა სიტყვა აასრულა და ლევან ცქიტიშვილი ათამაშა. მართალია, ლევანი ძირითადში არ ყოფილა, მაგრამ ეს მოსალოდნელოც იყო. რვათვიანი პაუზის შემდეგ ჩვენებურმა ბოლო 16 წუთი დაჰყო მინდორზე. კობიაშვილმა და იაშვილმა კი შეუცვლელად ითამაშეს.

ფინკეს შეუძლია მშვიდად იყოს, გუნდს სათადარიგო მეკარეც ჩინებული ჰყავს. გოლცის შემცვლელი როისი ისე გაისარჯა „კიკერმა“ 1,5 დაუწერა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა. მეკარის თავდადებამ „ფრაიბურგი“ ვერ იხსნა. „ვოლფსბურგმა“ 2:1 მოიგო და უეფას თასის საგზურიც დაიბევა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ „ჰამბურგი“ და „მიუნხენ 1860“. ჰამბურგელებმა ამის უფლება დიდი ხნის წინ მოიპოვეს, მიუნხენელებმა კი ბოლო ტურში სტუმრად „კაიზერსლაუტერნთან“ ნათამაშევი 1:1-ის მერე.

„არმინიასთან“ და „დუისბურგთან“ ერთად გამოემშვიდობა პირველ ბუნდესლიგას პატარა ქალაქის პატარა გუნდი „ულმი“. ულმელები ბოლო ტურში ფრანკფურტს სტუმრობდნენ და მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. „აინტრახტს“ კი ფრეც ჰყოფნიდა. თუმც ისე ითამაშა, ქულას არ დასჯერდა და ერთბაშად სამი აიღო, რითაც მეტოქე მეორე ბუნდესლიგისთვის გაწირა.

„ჩემი მისია შევასრულე, გუნდი საუკეთესოთა შორის დავტოვე. ახლა კი გაცლა მიჯობს. სათადარიგოთა სკამზე დაბრუნება გამიჭირდა. ასეთ სტრესს გაისად ველარ გავუძლებ. მე კი მივდივარ, მაგრამ მემკვიდრეს ვტოვებ. ზამერი ყველაფერს ჩინებულად გაუძღვება“ — უდო ლატეკი „დორტმუნდს“ პირნათელი გამოეთხოვა. მისი თავკაცობით გუნდმა ხუთი მატჩი ჩაატარა, ორი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ერთი წააგო. დორტმუნდელთა ბოლო მიღწევების გათვალისწინებით, ნამდვილად ჩინებული შედეგია.

ამჯერად „დორტმუნდმა“ სტუმრად მოიგო, თანაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი „ჰერტა“ ბერლინში პირწმინდად გაანადგურა — 3:0. რაც შეეხება ზამერს, მის ამბავს კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს ხანში გადაწყვეტს.

**ვანო ოქროპირიძე**

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 19 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 17 |
| ელბერი (ბაიერნი) | 14 |
| სანდი (შალკე 04) | 14 |
| მ. ბოდე (ვერდერი) | 13 |
| პაულო სერჟიო (ბაიერნი) | 13 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |

## მეორე ბუნდესლიგა

XXXIII ტური

### ვალდჰოფი 1:3 ფორტუნა

0:1 იბრაჰიმი (37), 0:2 ზერნიკი (57), 1:2 კლაუცი (64), 1:3 კატიჩი (72)

### კიოლნი 6:3 ზანქტ პაული

1:0 ჩიკონი (2), 2:0 დონკოვი (4), 2:1 ველაგე (12), 2:2 კლასნიჩი (18), 3:2 შპრინგერი (31), 4:2 ოჯიგვე (38), 5:2 შერცი (53), 5:3 გერბერი (60), 6:3 ოჯიგვე (61)

### ობერჰაუზენი 3:0 ალემანია

1:0 კიუკა (8), 2:0 ობადი (54), 3:0 ვაიერი (77)

### ფიურტი 2:0 კარლსრუე

1:0 ტური (10), 2:0 რუმანი (61)

### კიკერსი 2:1 ჰანოვერი

პრესკონფერენცია შედგა. მასზე ითქვა ის, რაც უკვე ყველამ იცოდა — ლუის ვან გაალი გადადგა, მაგრამ მიზეზი... „ჩემს წასვლას კლუბის უტიტულოდ დარჩენასთან არაფერი აქვს საერთო, — ბრძანა მწვრთნელყოფილმა — დიახ, ვერაფერი მოვიგეთ, მაგრამ „ბარსელონას" ცუდად არ უთამაშია. მეტიც, გუნდი ამ სეზონში წინა წლებთან შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა. მე მივდივარ, რადგან სოლიდარობას ვუცხადებ ნუნიესს. და საერთოდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასეთი პრინციპით ვმოქმედებ — პრეზიდენტი, სამწვრთნელო შტაბი და მოთამაშეები მხარს უნდა მიჭერდნენ, სხვაგვარად ვერ ვიმუშავებ. ესპანელებისა კი ვერაფერი გამიგია — კლუბის ხელმძღვანელობაც და ქომაგებიც მლანძღავენ. ეს ის ხალხია, ვისაც წინა ორ სეზონში ოთხი ჯილდოს მოპოვებით უზარმაზარი სიხარული მივანიჭე. სამწუხაროდ ასეა, კარგს მალე ივიწყებენ".

მეხსიერება თავად მწვრთნელს ღალატობს. სეზონის წინ იგი ამბობდა: „ჩვენ ჩემპიონთა ლიგის უბრალოდ მოგება არ გვინდა. ისე უნდა გავიმარჯვოთ, რომ ხალხს სამუდამოდ დაამახსოვრდეს 2000 წლის „ბარსელონა", ისე, როგორც 50-იანი წლების „რეალი" და 1973 და 1995 წლების „აიაქსი". ლუის ვან გაალმა ეს ვერ მოახერხა. ვერც „ბარსელონა" დაემსგავსა „აიაქსს".

კატალონიელებს მწვრთნელი იმიტომაც სძულთ, რომ მან კლუბი ჰოლანდიელებით გაავსო და ზედ მობეზრებული იარი ლიტმანენი მოაყოლა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ვინ გაუშვა? ივან დე ლა პენია, ალბერტ ფერერი, გილიერმო ამორი, ხუან ანტონიო პიცი — კატალონიელთა კერპები. მერე მათ ალბერტ სელადესი და ტყუპი ოსკარ და როჯერ გარსიებიც მიაყოლა. თავიანთ ფავორიტებს კი გულშემატკივრები ადვილად ვერ ელევიან.

ერთიცაა, „ბარსელონა" საკუთარი სახელის ტყვედ ქცეულა. ქომაგები ამბობენ: „ის უფრო მეტია, ვიდრე კლუბი". ჰოდა, როგორი საქმეა, ქვეყნის პირველობაზე აქამდე ვერაფრით თავგამოჩენილი გალისიელი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში პროვინციელი ვალენსიელი რომ გაჯობებს. ამას უძველეს მოქიშპე „რეალთან" განადგურება და ესპანეთის თასის ნახევარფინალური მატჩის ჩაშლაც დავუმატოთ. ნამდვილად გაიხარეს კატალონიელებმა ვან გაალის წასვლით.

დანარჩენი ჰოლანდიელები? ისინი გუნდთან განშორებას არ აპირებენ. გამონაკლისი მხოლოდ უინსტონ ბოგარდია, ის ახალი კლუბის ძებნას შეუდგა. თავად ბოგარდი ჯერჯერობით არაფერს ამბობს, მისი გადაწყვეტილება პატრიკ კლუივერტმა გაამხილა: „უინსტონი „ბარსაში" ყოფნით უკმაყოფილო იყო და ამიტომაც მიდის. ბარსელონას ივნისში დატოვებს. მეტი რა გითხრათ? ის კარგი მეგობარი და პარტნიორია. გულდაწყვეტილი ვარ".

„ბარსელონა" ბოგარდის გაყიდვაზე ყაბულსაა. თავის დროზე „მილანიდან" მისი გადმოყვანა კლუბს 16 მილიონი დოლარი დაუჯდა, ახლა კი თანახმაა, ამ თანხის ნახევარი აიღოს.

და მთავარი კითხვა — ვინ ჩაიბარებს კლუბს? რამდენიმე დღის წინ ვწერდით, ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატი კიდევ ერთი ჰოლანდიელი, რონალდ კუმანი არისო. დღეს მას არავინ ახსენებს, სამაგიეროდ, ახალი სახელები ამოტივტივდა — ფაბიო კაპელო და არსენ ვენგერი. სანამ საქმე საბოლოო არჩევანამდე მივა, გუნდს ლორენს სერა ფერერი გაწვრთნის. იგი ადრე „ბეტისში" მუშაობდა, ბოლო დრომდე კი ბარსელონელ ახალგაზრდებს ავარჯიშებდა.

### ლუის ვან გაალი

*დაიბადა 1951 წლის 8 აგვისტოს ამსტერდამში, ჰოლანდია.*

*ფეხბურთელობისას თამაშობდა ამსტერდამის „აიაქსში" (ძირითადად რეზერვში), „ანტვერპენში", „ტელსტარში", როტერდამის „სპარტაში" და „ალკმარში".*

*1988: გახდა „აიაქსის" მწვრთნელის თანაშემწე. ავარჯიშებდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს. მისი აღმოჩენილია მარკ ოვერმარსი, ფრანკ და რონალდ დე ბურები, პატრიკ კლუივერტი.*

*1991: „აიაქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ლეო ბენჰაკერი.*

*1992: პირველივე სეზონში „აიაქსთან" ერთად მოიგო უეფას თასი (ორმატჩიან ფინალში მეტოქის მინდორზე გატანილი მეტი გოლით დაამარცხა იტალიური „ტორინო"). „აიაქსი" გახდა მეორე კლუბი, რომელმაც სამივე ევროტურნირში გაიმარჯვა.*

*1993: მოიგო ჰოლანდიის თასი.*

*1994: გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და აიღო ქვეყნის სუპერთასი.*

*1995: ჩემპიონთა ლიგის ფინალში „აიაქსმა" „მილანი" დაამარცხა და 22 წლის წინანდელი წარმატება გაიმეორა. იმავე წელს „აიაქსმა" საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო (დაამარცხა ბრაზილიური „გრემიო"). ამასთანავე კლუბი გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და სუპერთასის მფლობელი.*

*1996: ჩემპიონთა ლიგის ფინალში „აიაქსმა" პენლებით წააგო „იუვენტუსთან". 26-ედ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი. მოიგო ქვეყნის და ევროპის სუპერთასები.*

*1997: ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „აიაქსი" დამარცხდა „იუვენტუსთან", ხოლო ქვეყნის პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ვან გაალისთვის ეს პირველი სეზონი იყო, როდესაც ვერაფერი მოიგო. ამავე წელს „ბარსელონას" მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ბობი რობსონი. „ბარსელონაში" გადასულმა პირველი ბრძოლა წააგო — ესპანეთის სუპერთასი „რეალს" დაუთმო. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი კლუბმა ბოლო ადგილი დაიკავა.*

*1998: „ბარსელონამ" 39 წლის შემდეგ პირველად შეასრულა დუბლი. ევროპის სუპერთასისთვის ბრძოლაში „ბორუსია" დაამარცხა.*

*1999: „ბარსელონამ" ესპანეთის სუპერთასზე მატჩი წააგო („მალიორკასთან"). ვერაფერს მიაღწია ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა ქვეყნის ჩემპიონი გახდა.*

*2000: „ბარსელონა" ყოველგვარი ტიტულის გარეშე დარჩა. 20 მაისს ვან გაალი გადადგა.*

# ტრაპი წავა და ვინ მოვა...

ვიტორიო ჩეკი გორის და მის „ფიორენტინას" ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევთ. პარასკევს ჯოვანი ტრაპატონიმ საფეხბურთო სამყაროს ამცნო, რომ ფლორენციაში დარჩენას არ აპირებს და პოსტი დატოვა.

— აქ დარჩენა აღარ შემიძლია — განუცხადა იტალიელმა „გაძეტა დელო სპორტს" — ყველაფერი ადრევე გადავწყვიტე. ორი-სამი თვის წინ ვიცოდი, რომ „ფიორენტინასთან" კონტრაქტს არ გავაგრძელებდი. დარჩენის საბაბი არც მქონია. ფლორენციულ კლუბში ის ვერ მოვიმკე რასაც ველოდი".

ტრაპატონის „ფიორენტინადან" წასვლაზე ჯერ კიდევ მარტში ალაპარაკდნენ. მაშინ გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა, თუმცა სერია A-ს ბოლო ტურები ჩინებულად ჩაატარა, უკანასკნელი სამი შეხვედრა მოიგო და გაისად უეფას თასზე ითამაშებს. მათ, ვისაც „ფიორენტინაში" ტრაპატონის დარჩენა სურდათ, იმედი ჩაესახათ, რომ მწვრთნელი გუნდს არ მიატოვებდა და გაისადაც უთავკაცებდა, მაგრამ გაწბილდნენ.

მწვრთნელმა თავად თქვა, რომ „ფიორენტინას" პრეზიდენტს ესაუბრა და პირადად განუცხადა უარი დარჩენაზე. თუმცა ტრაპატონიმ აღნიშნა, რომ ყველაფრის მიუხედავად მასთან საუკეთესო ურთიერთობა შეინარჩუნა.

ვინ შეცვლის ტრაპატონის? ამ საკითხზე ფლორენციული პრესა დღეს ბევრს მსჯელობს. ყველაზე ხშირად არიგო საკისა და ზდენეკ ზემანის სახელები გაისმის.

მწვრთნელობას დროებით ჩამოშორებული არიგო საკი ამჟამად ტელევიზიაში მოღვაწეობს საფეხბურთო ექსპერტად.

ახლა არც ზდენეკ ზემანი მწვრთნელობს. თურქული „ფენერბაჰჩე" მან იანვარში დატოვა. წარმოშობით ჩეხი, იტალიურ ფეხბურთს კარგად იცნობს, 1997-94 წლებში „რომაში" მუშაობდა, რის შემდეგაც თურქეთში გადაბარგდა.

ახალ მწვრთნელს „ფიორენტინაში" საკადრო რეფორმები ელის. გუნდს ერთბაშად რამდენიმე წამყვან მოთამაშესთან გამოთხოვება ემუქრება. ფლორენციელთა უმთავრეს იმედს, გაბრიელ ბატისტუტას მილანის „ინტერი" და „რომა" იწვევენ. შესაძლოა არგენტინელის გზას მეკარე ფრანჩესკო ტოლდო და ნახევარმცველი მანუელ რუი კოშტაც დაადგნენ.

რომელ გუნდს გაწვრთნის ჯოვანი ტრაპატონი? ეს ჯერ, ალბათ, მხოლოდ თავად იცის. პრესის ცნობით, ღვაწლმოსილ სპეციალისტს ფრანგული „ლიონი" ეპატიჟება.

**ნიკა შუგლაძე**


# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. ფინალი

24 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | რეალი-ვალენსია | 2,2 | 3,0 | 2,9 |

ჩემპიონთა თასის აღება

24 მაისი

701 რეალი (1,5)-ვალენსია (2,0)

*მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც აიღებს თასს*

*თასის აღების გადამრავლება თამაშის შედეგზე არ შეიძლება*

ამხანაგური მატჩი

23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 502 | უელსი-ბრაზილია | 7,5 | 4,0 | 1,3 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. 34-ე ტური

25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | მაინცი-ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 002 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 003 | ქემნიცი-ბერლინი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 004 | კოტბუსი-კიოლნი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 005 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 006 | ფორტუნა-ოფენბახი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 007 | კარლსრუე-კიკერსი | 3,0 | 3,3 | 1,6 |
| 008 | ალემანია-ფიურტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 009 | ზანქტ პაული-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,2 | 4,2 |

იტალია. დამატებითი მატჩი (ვერონაში)

23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | პარმა-ინტერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

პოლონეთი. 29-ე ტური

24 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | გურნიკი-ლეხი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 012 | ლკს-ზაგლებე | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 013 | ვისლა-ამიცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 014 | რუხი-ლეგია | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 015 | პოლონია-ოდრა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 016 | სტომილი-პლოცკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 017 | პოგონი-ვიძევი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 018 | გროცლინი-რაძიონკოვი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

შვეიცარია. მე-12 ტური

23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ქსამაქსი-ლოზანა | 3,3 | 3,0 | 2,0 |

25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ბაზელი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 021 | სენტ გალენი-სერვეტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 022 | ივერდონი-გრასჰოპერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |

დანია. 32-ე ტური

25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ვიბორგი-ვაილე | 1,5 | 4,0 | 4,0 |
| 024 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| 025 | აკადემისკი-ბრიონდბიუ | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 026 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 027 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 028 | ოდენსე-ესბიერგი | 1,6 | 3,3 | 4,0 |

შვედეთი. თასის ფინალი

25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | აიკ-იორგრიტე | 1,7 | 3,3 | 4,2 |

კალათბურთი

23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ინდიანა-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

ჰოკეი

23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 802 | დალასი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,2 |

24 მაისი

803 ნიუ ჯერსი-ფილადელფია

25 მაისი

804 კოლორადო-დალასი

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

## საქართველო 67:62 დანია

19 მაისი. ვაილე. დანია. I ტაიმი 40:38

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბრამიძე | 39 | 2/4 | 0/4 | 2/4 | 1 | 3 | 4 | 2 | 6 |
| ბეჟანიშვილი | 7 | 0/1 | 0/0 | 1/2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 |
| ბოისა | 20 | 0/2 | 0/3 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 5 | 0 |
| გოგობერიშვილი | 39 | 3/5 | 5/10 | 2/2 | 4 | 2 | 3 | 1 | 23 |
| ქარაბაკი | 21 | 1/5 | 0/0 | 5/6 | 3 | 0 | 4 | 2 | 7 |
| ხოშტარია | 3 | 1/3 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| კილაძე | 5 | 0/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ფაჩულია | 35 | 6/14 | 0/0 | 9/12 | 8 | 2 | 3 | 4 | 21 |
| ცქიტიშვილი | 31 | 2/6 | 0/1 | 3/3 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 |
| სულ | 200 | 15/42 | 5/19 | 22/29 | 24 | 9 | 19 | 22 | 67 |

| დანია | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აჰმადი | 27 | 2/5 | 0/0 | 2/4 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 |
| ჰაუგე | 22 | 1/2 | 0/1 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 |
| იენსენი | 28 | 2/3 | 0/2 | 5/5 | 0 | 2 | 2 | 5 | 9 |
| იერიხოვი | 37 | 3/5 | 1/2 | 8/12 | 5 | 0 | 1 | 4 | 17 |
| ლარსენი | 25 | 6/10 | 0/0 | 1/2 | 3 | 0 | 4 | 3 | 13 |
| პედერსენი | 7 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| რასმუსენი | 28 | 1/4 | 1/4 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 4 | 5 |
| სინდინგი | 12 | 1/2 | 0/0 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 1 | 4 |
| სიორენსენი | 15 | 0/1 | 1/3 | 0/0 | 3 | 1 | 0 | 2 | 3 |
| სულ | 200 | 16/32 | 4/13 | 18/25 | 20 | 8 | 10 | 25 | 62 |

## საქართველო 75:80 კვიპროსი

20 მაისი. ვაილე. დანია

**საქართველო:** ფაჩულია (4 ქულა, 2 მოხსნა), ბოისა (14 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი), კილაძე (10 ქულა, 5 მოხსნა), ხოშტარია (13 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), ბეჟანიშვილი (1 მოხსნა), კოკოლიშვილი (3 ქულა), აბრამიძე (3 ქულა, 2 პასი), ჯაფარიძე, გოგობერიშვილი (11 ქულა, 6 პასი), ქარაბაკი (13 ქულა, 6 მოხსნა), ცქიტიშვილი (4 ქულა)

**კვიპროსი:** სტილიანიდისი (16 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი), კუნუნისი (1 პასი), ანასტასიადისი (6 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი), რაჩე (26 ქულა, 3 მოხსნა), მიხაელი (13 ქულა, 3 მოხსნა), პალალასი (4 ქულა, 1 მოხსნა), ხრისტოდულუ (3 ქულა, 1 მოხსნა), ზახარიუ (3 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი), ირისოკა (9 ქულა, 8 მოხსნა)

## საქართველო 95:80 ირლანდია

21 მაისი. ვაილე. დანია. I ტაიმი 49:44

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბრამიძე | 10 | 2/2 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ბეჟანიშვილი | 22 | 3/5 | 0/0 | 0/0 | 3 | 3 | 1 | 2 | 6 |
| ბოისა | 12 | 0/0 | 1/2 | 0/0 | 0 | 0 | 2 | 2 | 3 |
| დავითულიანი | 13 | 2/5 | 0/0 | 0/1 | 1 | 2 | 1 | 5 | 4 |
| გოგობერიშვილი | 31 | 2/3 | 4/7 | 0/0 | 0 | 3 | 1 | 2 | 16 |
| ხოშტარია | 25 | 4/7 | 1/1 | 4/5 | 0 | 5 | 3 | 3 | 15 |
| კილაძე | 11 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 4 | 2 |
| კოკოლიშვილი | 3 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ფაჩულია | 34 | 9/13 | 0/0 | 2/2 | 13 | 2 | 5 | 4 | 20 |
| ცქიტიშვილი | 35 | 10/14 | 1/3 | 2/2 | 7 | 1 | 1 | 3 | 25 |
| სულ | 200 | 33/51 | 7/14 | 8/10 | 26 | 16 | 15 | 26 | 95 |

| ირლანდია | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯ. ბერკი | 23 | 1/3 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 2 | 2 |
| ფულტონი | 19 | 0/1 | 0/2 | 1/2 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 |
| ლეისი | 39 | 9/13 | 0/0 | 9/14 | 15 | 0 | 2 | 2 | 27 |
| მადსენი | 11 | 2/2 | 1/4 | 2/3 | 0 | 0 | 1 | 1 | 9 |
| მაგვაიერი | 19 | 4/6 | 2/4 | 2/2 | 0 | 1 | 0 | 0 | 16 |
| მაკარტი | 14 | 2/4 | 0/1 | 0/0 | 0 | 3 | 2 | 0 | 4 |
| მაკგარკი | 13 | 0/3 | 1/3 | 2/2 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 |
| ოკონელი | 37 | 2/5 | 1/7 | 4/6 | 1 | 1 | 4 | 3 | 11 |
| ოლირი | 3 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ქუინი | 9 | 0/1 | 0/1 | 2/2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 |
| რიჩარდსონი | 14 | 1/3 | 0/1 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 |
| სულ | 200 | 21/41 | 5/23 | 23/33 | 19 | 8 | 13 | 14 | 80 |


## იყიდება

ერთოთახიანი იზოლირებული ბინა 3 (8).
ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან აქვს გრძელი აივანი (VI კვ.)
ტელეფონი 30-75-81

## ქირავდება

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ.
„დინამო" სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.
ტელ: 34-80-68


# გაჯახუნებულ კარში ქართველებმა ირლანდია მოაყოლეს



რამაზ გოგობერიშვილი დანიაში ქართველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისთვის შაბათს კვიპროსთან ოვერტაიმში დამარცხება საბედისწერო გამოდგა. სწორედ მაშინ გაცხადდა, რომ დანიაში მიმდინარე ევროპის 2003წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლიდან ჩვენი ნაკრები შესარჩევ ეტაპზე ველარ გააღწევდა. მეორე დღეს ირლანდიის დამაჯერებელი ძლევით ქართველებმა ოდენ კარი გაიჯახუნეს, საბოლოოდ მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ, ევრობასკეტ 2003-ის შესარჩევი ტურნირისკენ კი ორმა გამარჯვებულმა გაიკვალა გზა.

რომ არა კვიპროსთან წაგება, ქართველი კალათბურთელებისთვის ყოველივე კარგად დამთავრდებოდა. ნაკრები თავს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაიგულებდა და მერე მშვიდად მოემზადებოდა ამ ტურნირისთვის. ახლა კი...

არა, ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული, ეროვნულ გუნდს კიდევ მიეცემა თავის გამოჩენისა და ევრო 2003-ის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრის შანსი. გაისად ამ დროს ნაკრები კიდევ ერთ საკვალიფიკაციო ციკლში ჩაებმება, სადაც სამეულში შესვლა ხსენებულ ტურნირზე ასპარეზობის გარანტია იქნება.

ნაკრების მეორე მწვრთნელის, ნუგზარ კანდელაკის თქმით, კვიპროსთან ჩვენებს ურიგოდ არ უთამაშიათ, მოგებული მატჩი წავაგეთ, იღბალმა ზურგი გვაქციაო, გვითხრა კანდელაკმა და განაგრძო: „ერთი შეხედვით კვიპროსი არცთუ ძლიერი მოგეჩვენებათ, მაგრამ რომ დააკვირდებით, ძალიან შეკრული და ორგანიზებული გუნდია. საკმაოდ გამოცდილი კალათბურთელები ჰყავთ, ამ ტურნირისთვის ძალიან კარგად იყო მომზადებული. მთავარი მწვრთნელი იუგოსლაველი სპეციალისტია, ისევე როგორც გუნდის ლიდერი, რომელსაც კვიპროსის მოქალაქეობა აქვს და ამ ქვეყნის ნაკრებშიც თამაშობს.

მთელი შეხვედრა ქულა-ქულაზე მიდიოდა, უპირატესობა ვერც ჩვენ მოვიპოვეთ და ვერც მეტოქემ. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, შედარებით ... ლილად გამოიყურებოდნენ ახალგაზრდები — ცქიტიშვილი, ბოისა და ფაჩულია, თუმც ის, რომ მოწინააღმდეგე საკთარი თამაში თავს ვერ მოგვახვია, მნიშვნელოვნად სწორედ ამ ბიჭების დამსახურება იყო. ძირითადი მოვლენები შეხვედრის მიწურულს განვითარდა. წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა სამ ქულას ვიგებდით — რამაზ გოგობერიშვილმა ორქულიანი პლუს ერთი საჯარიმო ჩააგდო. ამის მერე კვიპროსმა შემოგვიტია, სწრაფ ჩაგდებას გეგმავდნენ, მაგრამ ჩვენებმა თითქმის შეუვალი დაცვა დაუპირისპირეს. სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მეტოქემ ხანგრძლივად ათამაშა ბურთი და მისი ფლობისთვის განკუთვნილ უკანასკნელ წამს სამქულიანი ესროლა. როგორ გითხრათ, ამას სროლა ნამდვილად არ ჰქვია, ერთ-ერთმა კალათბურთელმა მოედნის კიდიდან ჩვენი ფარის მიმართულებით უბრალოდ გადააგდო ბურთი. იქიდან თითქოს წარმოუდგენელიც არის ჩაგდება, მაგრამ სამწუხაროდ, ბურთი ჩვენს კალათში ჩაეშვა. ეს რაღაც სასწაულს ჰგავდა, არ ველოდით, ჯარიმის აღებაც კი არ გვიცდია. ამის მერე 12 წამიღა რჩებოდა, შევუტიეთ, რამაზ გოგობერიშვილი გარღვევაზე წავიდა, შიგნით შეაღწია და ესროლა, ბურთი მეტოქის კალათზე დატრიალდა და უკანვე ამოვარდა.

ოვერტაიმში მოწინააღმდეგემ გვაჯობა. ამაზე იმანაც იმოქმედა, რომ ჩვენი კალათბურთელები ფსიქოლოგიურად გატყდნენ, მაღლებსაც აღარ გამოუვიდათ თამაში.

ირლანდიასთან მატჩი აღარაფერს წყვეტდა, უბრალოდ, პრესტიჟის ამბავი იყო. ბიჭებმა ძალიან მოინდომეს და დაამარცხეს კიდეც საკმაოდ ძლიერი მეტოქე. არ გაგვჭირვებია, ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ ირლანდიელები.

მთლიანობაში ერთის თქმა შეიძლება. საწყენია, რომ საბოლოოდ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ჩვენ, მწვრთნელებმა, ცხადად დავინახეთ სამომავლო პერსპექტივა. მერწმუნეთ, ამ გუნდს დიდი პოტენცია აქვს. ახალგაზრდები — ბოისა, ფაჩულია და ცქიტიშვილი ამ ტურნირმა ნაკრების ლიდერებად აქცია, ეს ბიჭები მთლიანად გაიხსნენ და დაამტკიცეს, რომ ქართულ კალათბურთს მართლაც აქვს მომავალი. შემდგომშიც ნაკრები ამათ ირგვლივ უნდა აშენდეს, ეს ამთავითვე ნათელია. და კიდევ, გოგობერიშვილმა ითამაშა მთელი ტურნირის განმავლობაში ძალიან კარგად, ის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენს ნაკრებში".

გუშინ დილით ეროვნული გუნდი ვაილედან მატარებლით კოპენჰაგენს გაემგზავრა, საღამოს რვა საათზე კი უკვე მოსკოვში იყო. იქიდან ნაკრები დღეს დაბრუნდება თბილისში. მათთან ერთად არ იქნება ზაზა ფაჩულია, რომელიც დანიიდან პირდაპირ თურქეთში გაფრინდა, რათა ახლა თავისი კოლეჯის გუნდს შეეშველოს. დანარჩენი ლეგიონერები — ბოისა და ცქიტიშვილი კი ჯერ თბილისს ჩამოვლენ და მერე მიაშურებენ სლოვენიას.

**გიორგი ბიკაშვილი**

| 20 მაისი |
|---|
| რუმინეთი — ლუქსემბურგი 88:62; დანია — ირლანდია 62:58; კვიპროსი — საქართველო 80:75 |
| 21 მაისი |
| საქართველო — ირლანდია 95:80; დანია — რუმინეთი 64:54; კვიპროსი — ლუქსემბურგი 77:68 |

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 4 | 1 | 320:296 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 4 | 1 | 347:317 | 9 |
| საქართველო | 5 | 2 | 3 | 377:385 | 7 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 3 | 315:317 | 7 |
| ირლანდია | 5 | 2 | 3 | 336:344 | 7 |
| ლუქსემბურგი | 5 | 1 | 4 | 350:386 | 6 |

## ესპანეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 3 |
| ტაუ | 1 |

**ტაუ 74:98 ბარსელონა**

ტაუ: კორჩიანი (2), გარბახოსა (2), ბენეტი (6), ფუარე (11), ქსტელერი (24), ნოსიონი (1), ქსპილი (12), მილზი (10), ობერტო (6)

ბარსელონა: როდრიგესი (13), გოლდვაიერი (14), დე ლა ფუენტე (5), ალსტონი (16), ელსონი (6), გუროვიჩი (16), დუენიასი (2), ნავარო (15), რენციასი (11), გასოლი

ასეთ „ბარსელონას" ვერავინ მოუგებდა. გუნდმა 18-დან თერთმეტი სამქულიანი ჩააგდო; 45 ბურთი მოხსნა, მეტოქეს მხოლოდ 19 მოახსნევინა; „ბარსას" ექვსმა მოთამაშემ თერთმეტზე მეტი ქულა გააკეთა.

ერთი სიტყვით, „ბარსელონამ" გუნდურად ითამაშა, დამაჯერებლად მოიგო და ფინალში გავიდა. ბარსელონელებმა ტაიმი 50:42 მოიგეს. „ტაუმ" მოახერხა და ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირა (52:48), რასაც „ბარსას" მიერ 20:9 მოგებული მონაკვეთი მოჰყვა. რამდენჯერაც „ტაუ" გაიბრძოლებდა, „ბარსა" იმდენჯერვე სამქულიანებს მიაყრიდა ხოლმე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იუგოსლაველმა მილან გუროვიჩმა, რომელსაც ოთხი შორიდან ნასროლი ჩააგდო.

| | |
|---|---|
| რეალი | 2 |
| ესტუდიანტესი | 2 |

**ესტუდიანტესი 74:67 რეალი**

ესტუდიანტესი: ტომპსონი (7), მარტინესი (3), რობლესი (5), აისა (7), ფ. რეიესი (7), ხიმენესი (7), ვანდივერი (19), გარსია (3), აზოფრა (2), ა. რეიესი (14)

რეალი: ა. ანგულო (9), სტრიულენსი (7), ჯორჯევიჩი (12), ლ. ანგულო (6), გალილეა (2), ერეროსი (8), ბეტსი (9), სკოტი (3), იტურბე (11)

მადრიდულ დერბიში ანგარიში გათანაბრდა და ფინალისტის ვინაობა დღეს, „რეალის" კუთვნილ დარბაზში გადაწყდება. მეოთხე მატჩში კი პირველი ტაიმი 32:32 დასრულდა. თამაშის განახლებისთანავე „ესტუდიანტესმა" ფარზე მოიპოვა უპირატესობა და 40:34 დაწინაურდა. ამის შემდეგ „რეალი" სულ ჩამორჩებოდა. 51:48-ზე სამეფო გუნდის ლიდერი ალბერტო ერეროსი დაიმტვრა, ხოლო შონ ვანდივერმა 7:0 მოაგებინა „ესტუდიანტესს" ორწუთიანი მონაკვეთი. ცალკე ამან და ცალკე ერეროსის თამაშიდან გასვლამ „რეალი" საბოლოოდ გატეხა.

## თურქეთი

# ხორვატი მამლუქები თურქული ტიტულისთვის

პლეი ოფის ფინალი
(ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 1 |
| თოფაში | 2 |

**თოფაში 67:58 ეფესი**

თოფაში: ფარსი (2), რიმაცი (20), ბაში, ქონუქი (6), ილმაზი (5), ოქური (8), გრიფიტი (12), რივერსი (14)
ეფესი: მულაომეროვიჩი (6), თურქოღლუ (6), ონანი (8), სანჯარი, ვექილოღლუ, ქუთლუაი (7), ბეშოქი (25), ვინსლოუ, დრობნიაკი (6)

მატჩის წინა დღეს სტამბოლის „ეფესმა" რეჟიმის დარღვევის გამო გუნდიდან გააგდო ცენტრი ნედიმ დალი. ძირითად ცენტრ ჰუსეინ ბეშოქს სათადარიგოთა სკამზე შემცვლელი აღარ ჰყავდა, ამიტომ თავი გადადო და თავდადებულად ითამაშა. ჰუსეინი იმ დღეს ერთადერთი ეფესელი იყო, რომლის მარჯვნივაც თამაში ეთქმოდა. დანარჩენები ვერაფერს აკეთებდნენ, ათი ქულის დაგროვებაც კი ვერ მოახერხეს. „თოფაშის" ალფერ ილმაზმა, მეტსახელად „ჯაჭვმა", საიმედოდ ამოკეტა მეტოქის ხორვატი ლიდერი დამირ მულაომეროვიჩი, რის გამოც ეფესელთა შეტევამ სიმწვავე დაკარგა. ხორვატი სლავენ რიმაცის 20 ქულის წყალობით „თოფაშმა" სერიის ანგარიში გაათანაბრა.

**ეფესი 83:88 თოფაში**

ეფესი: მულაომეროვიჩი (5), თურქოღლუ (14), ონანი, ვექილოღლუ, ქუთლუაი (29), ბეშოქი (16), ვინსლოუ (12), დრობნიაკი (7)
თოფაში: ფარსი (2), რიმაცი (20), ბაში (5), ქონუქი (7), ილმაზი (10), ოქური (12), გრიფიტი (8), რივერსი (24)

„თოფაშმა" სტუმრად მოუგო „ეფესს" და საკუთარი მოედნის უპირატესობა წაართვა. პირველ ნახევარში ეფესელები უკეთ გამოიყურებოდნენ — ჰუსეინ ბეშოქმა და „იბრაჰიმ ქუთლუაიმ ერთხანს შვიდი ქულითაც დააწინაურეს თავისიანები. ტაიმი 50:45 მორჩა სტამბოლელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ მთელი ძალით ათამაშდა „თოფაშის" უკანა ხაზი, განსაკუთრებით კი ამერიკელი გამთამაშებელი დევიდ რივერსი. მეორე ტაიმში მან 16 ქულა გააკეთა და, რაც მთავარია, თანაგუნდელებს რიგიანი პასები ჩამოურიგა.

ბოლო წუთზე რივერსმა ორი საჯარიმო ჩააგდო და „თოფაში" 86:83 დააწინაურა. „ეფესის" ხსნა ხორვატმა დამირ მულაომეროვიჩმა გადაწყვიტა, მაგრამ მის სამქულიანს ბურსელთა ხორვატმა სლავენ რიმაცმა დაუფარა, ბურთიც ხელთ იგდო და გარღვევით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ფინალის მეოთხე მატჩი ხვალ გაიმართება ბურსაში.

## საბერძნეთი



საბერძნეთის 1999-2000 წლების ჩემპიონი ათენის „პანათინაიკოსი". მარცხნიდან სხედან: ანტონის ფოცისი, ნანდო ჯენტილე, ნიკოს ბუდურისი, ოდედ კატაში, დეიან ბოდიროგა, მიხაელ კოხი, გიორგოს კალაიძისი; დგანან: კონსტანტინოს მაგლოსი, ანდრეას ლინიადაკისი, პატ ბერკი, ჟელკო რებრაჩა, ჯონი როჯერსი, გიორგოს კარაგუტისი, ფრაგისკოს ალვერტისი

# პანათინაიკოსი!

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 |
| პაოკ | 0 |

**პანათინაიკოსი 76:63 პაოკ**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (17), ლინიადაკისი (2), კოხი, როჯერსი (5), ფოცისი (3), ჯენტილე (5), ბოდიროგა (16), ბუდურისი (3), რებრაჩა (13), ბერკი (3), კატაში (9), კარაგუტისი
პაოკ: კოლდებელა (3), მასლარინოსი (11), ბალოიანისი (6), პერალი (5), ბაზარევიჩი (2), ედვარდსი (16), ალექსანდერი (8), იანულისი (12)

შაბათს ათენი ტრიუმფის მოლოდინში იყო. „ოლიმპიურ სტადიონზე" 18 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, რათა „პანათინაიკოსის" გამარჯვება ეხილა. ევროლიგის მომგები გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალის მესამე მატჩში სალონიკის პაოკ-ს მასპინძლობდა და, პროგნოზისამებრ, უნდა მოეგო.

მოიგო კიდეც. ისე, როგორც წინა მატჩები — დამაჯერებლად და დიდი უპირატესობით. „პანათინაიკოსმა" ფინალში მატჩში საშუალოდ 16,6 ქულის სხვაობით დაამარცხა პაოკი და ზედიზედ მესამედ გახდა საბერძნეთის ჩემპიონი. თუმცა, ეს რეკორდი არ არის — პირეოსის „ოლიმპიაკოსს" ზედიზედ ხუთჯერაც მოუგია ტიტული. სულ კი „პანათინაიკოსი" 22-ედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

„პანათინაიკოსის" იუგოსლაველი დამრიგებელი ჟელკო ობრადოვიჩი ევროპის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია. მას ოთხ სხვადასხვა გუნდთან ოთხჯერ მოუგია ევროლიგა, ხოლო იუგოსლავიის ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გაუხდია. ობრადოვიჩის ჯილდოთა კოლექციაში არ იყო ერთადერთი ტიტული — ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულის. საოცარია, მაგრამ ამ შესანიშნავმა სპეციალისტმა ამას ვეც ერთ ქვეყანაში ვერ მიაღწია — ვერც იუგოსლავიაში, ვერც ესპანეთში და ვერც იტალიაში. ახლა ობრადოვიჩის ტიტულებს საბერძნეთის ჩემპიონობაც მიემატა. ამის გამო არასდროს დამავიწყდება ეს სეზონიო — აღნიშნა მწვრთნელმა.

მესამე ადგილისთვის
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 |
| აეკ | 1 |

**ოლიმპიაკოსი 60:54 აეკ**

ოლიმპიაკოსი: ედვარდსი (4), პაპანიკოლაუ (3), რობინსონი (15), ტომიჩი (7), ტარლაჩი (16), დე მიგელი (11), გრანტი (4)
აეკ: მოსხუ (5), ჰანსელი, ოსალივანი (2), ხაძისი, კორონიოსი (14), დიკუდისი (8), მიუურსეპი (14), ბოუი (6), კაკიუზისი (5)

პირეოსის „ოლიმპიაკოსი" ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა საბერძნეთის ჩემპიონატის მესამე ადგილს და სუპროლიგას. 37-ე წუთზე აეკ-ელმა მიხალის კაკიუზისმა სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა (51:51), მაგრამ ჯეიმს რობინსონმა თავი გამოიდო და ერთწუთიანი მონაკვეთი „ოლიმპიაკოსს" 7:0 მოაგებინა.

აეკ-ს არ ჰყავდა ცენტრი იაკოვოს ცაკალიდისი, რომელიც ნაღრძობ კოჭს მკურნალობს. ოლიმპიაკოსელებმა დრაგან ტარლაჩმა და იგნასიო დე მიგელმა ისარგებლეს ამით და ფარზე გაბატონდნენ. მეოთხე მატჩი ხვალ გაიმართება ათენში.

## იტალია

# სირცხვილი ბოლონიაში



„ფორტიტუდოს" არტურას კარნიშოვასი დაკლდა

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 0 |
| ბენეტონი | 1 |

**ფორტიტუდო 72:79 ბენეტონი**

ფორტიტუდო: მაიერსი (16), ფუჩკა (13), ბაზილე (12), ვრანკოვიჩი (14), პილუტი, იარიჩი (7), რუჯერი (8), გალანდა (2), ანკიზი, გაი
ბენეტონი: პიტისი (2), ედნი (29), მარკონატო (8), შეპარდი (8), დი სპალატრო (2), ნიკოლა (10), სანტოსი (7), ტრაინა (13), ნეესი

ბოლონიის „ფორტიტუტო" ფინალურ სერიას დიდი დანაკლისით შეხვდა: გუნდის ლიტველმა ფორვარდმა არტურას კარნიშოვასმა მუხლი დაიზიანა და ამ სეზონში აღარ ითამაშებს. ამით გულმოცემულმა ტრევიზოს „ბენეტონმა" თავიდანვე შეუტია და 9:4 დაწინაურდა. „ფორტიტუდო" დროზე მოეგო გონს და კარლტონ მაიერსის ორი სამქულიანით 9:2 მოუგო წუთნახევრიანი მონაკვეთი მეტოქეს. ეს იყო ბოლონიელთა ერთადერთი გამონათება ამ შეხვედრაში. „ბენეტონმა" თამაშის გაძღოლა ამერიკელ ტაიუს ედნის დაავალა და ტაიმი 44:39 მოიგო.

მეორე ნახევარი ორმხრივი შეცდომებით დაიწყო. მდგომარეობა პირველმა „ბენეტონმა" გამოასწორა, ისევ და ისევ ედნის წყალობით. ტრევიზოელები გამუდმებით წინ იყვნენ. „ფორტიტუდო" ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა მატჩის გადარჩენის შანსს, მაგრამ არგენტინელი მარსელო ნიკოლას სამქულიანმა მასპინძლებს ბოლო მოუღო.

ამ მოგებით „ბენეტონმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა დააკარგვინა „ფორტიტუდოს", რომლის მწვრთნელი კარლო რეკალკატი იხტიბარს არ იტეხს: „სერიას ვაგებთ, მაგრამ საგანგაშო არაფერია. თუ დაცვას გავაძლიერებთ, ფინალს მოვიგებთ. კარნიშოვასი ძალიან დაგვაკლდა, მაგრამ სხვა მოთამაშეებიც გვყავს, რომელთაც ლიდერობა შეუძლიათ". „ფორტიტუდოს" იუგოსლაველი მარკო იარიჩი გაცილებით კატეგორიული იყო: „სირცხვილია. საზარლად ვითამაშეთ და ამიტომაც წავაგეთ „ბენეტონთან", რომელიც დღეს შესანიშნავი იყო".

„ბენეტონელებმა" მარსელო ნიკოლამ და რიკარდო პიტისმა, თითქოს პირი შეკრესო, ერთნაირი ფრაზები თქვეს: „დაცვაში კარგად ვითამაშეთ. შეტევაში უფრო აგრესიულები ვიყავით, თან რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი მოვხსენით. 1:0 კი დავწინაურდით, მაგრამ ფინალური სერია გრძელი და მძიმე იქნება".

მეორე მატჩი დღეს გაიმართება ტრევიზოში.

## საფრანგეთი

# მსგავსი შეცდომები

პლეი ოფის ფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 1 |
| ლიმოჟი | 1 |

**ლიმოჟი 58:69 ვილერბანი**

ლიმოჟი: დიუმა (4), ბრაუნი (15), ჰემი (3), ბონატო (7), მეტელი (4), რუპერი (4), ვილიამსი (14), ფრიგუ (3), ვეისი (4)
ვილერბანი: სონკო (15), ლარანიაგა (10), პლუვი (2), პერსევო (2), სილსი (14), ბლომი (2), მაქსი (17), ლოვერნი (2), ბილბა (5)

„მე მგონი, დღეს „ლიმოჟმა" იგივე შეცდომა დაუშვა, რაც ჩვენ პირველი მატჩისას. იგი ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა მოედანზე და დაისაჯა კიდეც. ახლა უკვე 1:1 გახდა და საკუთარი მოედნის უპირატესობა ისევ ჩვენ მხარესაა" — თქვა „ვილერბანის" მთავარმა მწვრთნელმა გრეგ ბენიომ.

საკმაოდ დაძაბული შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს და 27 მაისს გადამწყვეტ მატჩში „ასტრობალში" დაუხვდებიან მეტოქე. თამაში „ვილერბანის" მცირედი უპირატესობით დაიწყო. საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებული მუსტაფა სონკოს, ლარანიაგასა და სილსის აქტიურობით სტუმრები მალე დაწინაურდნენ. ბენიომ აქცენტი სწორედ უკანახაზელებზე გააკეთა და არც შემცდარა. ისინი ძალიან კარგად ესროდნენ, ხოლო როცა ტყორცნის საშუალება არ ჰქონდათ, ფარქვეშ ზუსტი პასებით ამარაგებდნენ თავიანთ ცენტრ მარლონ მაქსის. ამერიკელმა ლეგიონერმაც არ გაუცრუა მათ იმედი და ჯიმ ბილბას დახმარებით თავის გუნდს დროის მცირე მონაკვეთი 8:0 მოაგებინა. მე-11 წუთისთვის „ვილერბანი" უკვე 11 ქულას უგებდა მოწინააღმდეგეს — 24:13.

„ლიმოჟმა" ვერაფრით იპოვა თავისი თამაში, რადგან „მწვანეები" მთელ მოედანზე მშვენივრად იცავდნენ თავს. დუშან ივანოვიჩმა ამ დროს მეტად სარისკო გადაწყვეტილება მიიღო. მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა გუნდის ლიდერი, ამერიკელი მარკუს ბრაუნი შეცვალა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება დანარჩენებს მოსთხოვა. რისკმა გაამართლა. ოთხწუთიანი მონაკვეთი „ლიმოჟმა" 9:0 მოიგო, მის რიგებში კი რუპერმა გაიბრწყინა, რომელიც სამწამიან ზონაში მშვენივრად ირჯებოდა.

მასპინძლებმა დაცვაში თამაშიც გამოასწორეს, კონტრშეტევებიდანაც იხეირეს და ტაიმი მხოლოდ ექვსი ქულით წააგეს — 32:38. შეიძლება ვინმეს ეფიქრა, შესვენება მასპინძელთა ცეცხლს ჩააქრობსო, მაგრამ ასე არ მოხდა. მათ ისევ ისე კარგად გააგრძელეს თამაში და 17-ქულიანი ჩამორჩენა (პირველ ტაიმში) 28-ე წუთზე ოთხამდე დაიყვანეს (47:51). „ბობლანში" შეკრებილმა მაყურებელმაც თამაშში გარდატეხა ირწმუნა და გაათამაგებული ენერგიით დაიწყო თავისიანების გამხნევება.

თუმცა არც „ვილერბანია" ჯაბანი. სტუმრებმა ბურთის ბოლომდე გათამაშება დაიწყეს ტემპის დასაგდებად და 34-ე წუთისთვის ხუთქულიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ. მერე კი ისევ სონკომ და სილსმა ივაჟკაცეს და სამ წუთში ანგარიშში სხვაობა კიდევ ოთხი ქულით გაზარდეს. მატჩის ბოლოს ისინი სიტუაციას კარგად აკონტროლებდნენ და გამარჯვებაც აღარ გასჭირვებიათ.

„მეორე ტაიმში ერთხანს ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ არ გავტყდით და მოწინააღმდეგეს წინ გასვლის საშუალება არ მივეცით. ახლა ბოლო ბრძოლისთვის მოვემზადებით და საბოლოო გამარჯვების დიდი იმედიც გვაქვს" — უთხრა ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ მუსტაფა სონკომ.

**გაიოზ თალაქვაძე**



AFP

ლიმოჟი — ვილერბანი. ლიმოჟელი სტეფან დიუმა ჭკი ლარანიაგას გაურბის

# მუშკუდიანი დრაფტში

28 ივნისს ამერიკის ქალაქ მინეაპოლისში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის 2000 წლის დრაფტი გაიმართება. ნბა-მ უკვე გამოაქვეყნა იმ ამერიკელ და უცხოელ მოთამაშეთა სია, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დრაფტში.

უცხოელთა სიაში 20 კალათბურთელია, მათ შორის სოფიის „აკადემიკის“ ქართველი ცენტრი დავით მუშკუდიანი. ამრიგად, 20 წლის მუშკუდიანი მეორე ქართველია, რომლის სახელიც პლანეტის უძლიერესი ლიგის დრაფტის მონაწილეთა შორის მოიხსენიება. პირველი, შეგახსენებთ, ვლადიმერ სტეფანია იყო, რომელიც 1998 წლის დრაფტში „სიეტლ სუპერსონიქსმა“ აიყვანა 27-ე ნომრად.

ნბა-ს დრაფტში მონაწილეობის უფლება ასოციაციის რომელიმე გუნდში მოხვედრის გარანტია არ გახლავთ. თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ მუშკუდიანით რომელიმე კლუბი დაინტერესდება. უცხოელ მოთამაშეთა შორის დრაფტში მონაწილეობის უფლება აგრეთვე აქვთ სლოვენიელებს სანი ბეჩიროვიჩს და პრიმოჟ ბრეზეცს (ორივე ლიუბლიანის „ოლიმპია“), თურქებს ჰიდაიეთ თურქოღლუს (სტამბოლის „ეფესი“) და მეჰმეთ ოქურს (ბურსას „თოფაში“), ბერძნებს იაკოვოს ცაკალიდისს (ათენის აეკ) და ანტონის ფოცისს (ათენის „პანათინაიკოსი“) და სხვებს. მუშკუდიანის ამ ერთობ სოლიდურ კომპანიაში გამოჩენა უკვე ერთ რამედ ღირს. თუ ვის გაუღიმებს ბედი, ეს, შეგახსენებთ, 28 ივნისს მინეაპოლისში გაირკვევა. მანამდე კი დავით მუშკუდიანი მონაწილეობას მიიღებს წინასადრაფტო შეკრებაში, რომელიც 29-31 მაისს უნგრეთის ქალაქ პეჩში გაიმართება.

ამასობაში, ნბა-ს დრაფტ-ლატარია გაიმართება. მას უნდა გაერკვია დრაფტში არჩევნის უფლებათა თანმიმდევრობა. 28 ივნისს პირველ არჩევანს „ნიუ ჯერსი ნეთსი“ გააკეთებს. ბოლოჯერ ამ გუნდმა პირველი არჩევანი 1990 წელს გააკეთა და დღესდღეობით „შარლოტ ჰორნეთსის“ ფორვარდი დერიკ კოულმენი აიყვანა. იმ სეზონში კოულმენი სეზონის საუკეთესო ახალბედა გახდა.

მეორე არჩევანი „ვანკუვერ გრიზლიზს“ ერგო. სხვათა შორის, ამ გუნდმა შარშანაც მეორემ ამოირჩია სტივ ფრენსისი, ოღონდ მერე „ჰიუსტონ როკიტსში“ გაყიდა.

წინა წელთან შედარებით ერთი საფეხურით აიწია და მესამე არჩევანის უფლება მიიღო „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“. შარშანდელი დრაფტ-ლატარიის გამარჯვებული, ლიგის ექვსგზის ჩემპიონი „ჩიკაგო ბულზი“ წლეულს მეოთხე იქნება ამომრჩეველთა რიგში. მეხუთე არჩევანს კი „ორლანდო მეჯიქი“ გააკეთებს.

# კალათბურთელის სიკვდილი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოჯახს სასახელო წევრი გამოაკლდა. კვირა დილას ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა „მინესოტა ტიმბერვულვზის“ უკანახაზელი მალიკ სილი, რომლის სპორტულ მანქანას ავტოსტრადაზე ვინმე სუკსენგუანე ფენგსენის „დოჯი-პიკაპი“ დაეჯახა და ჯართად აქცია. კალათბურთელი მაშინვე გარდაიცვალა, დამნაშავე კი თავისა და ზურგის მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში მიიყვანეს. იტყობინებიან, რომ იგი გადარჩება, მაგრამ საკითხავი ისაა, მერე რა იქნება, ფაქტობრივად ხომ კაცის კვლაზეა ლაპარაკი. ფენგსენის მდგომარეობას უეჭველად დაამძიმებს ამერიკის პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში დაცული მასალები, ავტომობილებთან მის უდისციპლინო დამოკიდებულებას რომ ადასტურებს. 43 წლის ფენგსენი სამი წლის წინაც დაუპატიმრებიათ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის, ხოლო ერთი-ორჯერ უსაფრთხოების ქამრის უგულებელყოფასა და წითელ შუქზე გავლაშიც უმხილებიათ.

პირველადი მონაცემებით, ბრალი მთლიანად ფენგსენს მიუძღვის. სწორედ მისი „დოჯი“ გადმოსულა გზის საპირისპირო მხარეს და დიდი სიჩქარით მიმავალი სილის მანქანას დასჯახებია. დამნაშავეს არც ამჯერად შემოუჭერია უსაფრთხოების ქამარი და ისიც გასარკვევია, ფხიზელი იყო თუ არა. ერთ-ერთი მოწმე, რომელმაც ავარიის ადგილას პირველმა მიირბინა და ფენგსენის გადმოყვანა სცადა, ირწმუნება, ალკოჰოლის სუნი მეცაო, ოღონდ პოლიცია ჯერ ვერაფერს ამბობს, ცოცხლისა და მკვდრისთვის სისხლის სინჯები აუღია და დასკვნას მალე გამოაცხადებს.

ისე კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სილი ცოტა ნასვამი იქნებოდა, რადგან თურმე ძმაკაცისა და თანაგუნდელის, კევინ გარნეტის 24-ე დაბადების დღიდან მოდიოდა. საერთოდ, მოწმეთა თქმით, გარნეტს იუბილე უალკოჰოლო დაწესებულებაში (სახელად „მონტე კარლო ბარ ენდ კაფეში“) ალუნიშნავს, რომლის მენეჯერის თქმით, იქ კიდევ რამდენიმე კაცი ყოფილა, ღამის პირველ საათამდე დრო უტარებიათ და უშფოთველად დაშლილან. ამდენად, ის ფაქტი, რომ სილი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ძნელი დასადასტურებელია და სიმართლე მხოლოდ რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი, როცა ანალიზების შედეგები სამსჯავროზე გამოვა.



მალიკ სილი

ახლა კი დანამდვილებით მხოლოდ იმას ამბობენ, უსაფრთხოების ქამრით არც კალათბურთელი იყო ალჭურვილიო, თუმცა სილის ამისთვის არავინ კიცხავს, განსხვავებით 12 იანვარს დაღუპული ბობი ფილზისაგან („შარლოტ ჰორნეთსი“), რომელმაც დილის ვარჯიშის შემდეგ ასოთხმოცით გააჭენა მანქანა და თავი დაიღუპა. ამერიკელთა თვალში სილი მხოლოდ დაზარალებულია და ასოციაციაშიც მის ამქვეყნად წასვლას გულწრფელად გლოვობენ. მრავალრიცხოვან ნეკროლოგებში სილი ხასიათდება, როგორც ზრდილი, ჯენტლმენი, კარგი მამა და ოჯახიშვილი, საქებარი მეუღლე. „დღეს ლიგისთვის ტრაგიკული დღეა — თქვა ასოციაციის კომისარმა დევიდ შტერნმა — ჩვენი დიდი ოჯახი სილის ოჯახს უდიდეს თანაგრძნობას უცხადებს“. სხვებმაც თქვეს სათქმელი. „ტიმბერვულვზის“ ვიცე-პრეზიდენტმა კევინ მაკჰეილმა „ასოშეიტედ პრესის“ სააგენტოს აცნობა, ახლა ყველანი, ჩვენი კალათბურთელები ცოლებითურთ, სილის სახლში არიან და მისი მეუღლის ნუგეშისცემას ცდილობენო.

კალათბურთელის ადამიანური ღირსებების მოხსენიების შემდეგ ახლა მისი საკალათბურთო მონაგარიც ალვნუსხოთ: ნიუ იორკის ბრონქსის უბანში დაბადებულმა და მენეჯმენტში სამეცნიერო ხარისხის პატრონმა სილიმ ლიგაში მოღვაწეობა რვა წლის წინ დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში დეტროიტის, ლოს ანჯელესისა და ინდიანას გუნდებში თამაში მოასწრო. „მინესოტაში“ სილი შარშან მივიდა და თამაშში საშუალოდ 10,1 ქულას აგდებდა.

## პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — მაიამი. დან მარლი (ზურგით) და ნიუ იორკელი ალან ჰიუსტონი

# პლეი ოფის გვირგვინი

### აღმოსავლეთი

19 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 4 |
| ფილადელფია | 2 |

**ფილადელფია 90:106 ინდიანა**

ფილადელფია: აივერსონი (18), მაკკი (19), ლინჩი (14), ჰილი (11), რეთლიფი (11); კუკოჩი (12), ოლი (3), ჯონსი (2), სნოუ, ბოუმენი, მაკკალოფი

ინდიანა: ჯექსონი (12 ქულა, 11 პასი), მილერი (25), როუზი (21), დევისი (9 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), სმიტსი (18); კრომშერი (6), ბესტი (6), პერკინსი (3), მაკკეი (3), ბენდერი (3), ტაბაკი

„ინდიანა პეისერზმა“ „ფილადელფიასთან“ სერიის მეექვსე მატჩში მეოთხედ იმარჯვა და აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში ზედიზედ მესამედ, ბოლო შვიდ სეზონში კი მეხუთედ გავიდა. ახლა ინდიანელი „მარდები“ ლარი ბერდთან ერთად მესამედ შეეცდებიან, კლუბის ისტორიაში პირველად გავიდნენ ნბა-ს ფინალში. ლარი ბერდის ბიჭებმა ზედიზედ მეორედ იმსხვერპლეს „ფილადელფია“ და ამჯერადაც მათი მომავალი მეტოქე „ნიუ იორკი“ გახლავთ. თავად ბერდს გადაუწყვეტია, სეზონის ჩამთავრების შემდეგ სამწვრთნელო მოღვაწეობას გამოეთხოვოს. ლეგენდარული კალათბურთელი სულ რაღაც სამი სეზონია, მწვრთნელობს, მაგრამ ამ წლებმა იგი უფრო დაღალა, ვიდრე მოთამაშის თორმეტწლიანმა კარიერამ. თუ ამ ტვირთისგან გათავისუფლდა, ბერდი მშობლიურ ინდიანას შტატში, საკუთარ მყუდრო ფერმაში დასახლდება.

მიდის რეჯი მილერიც, ოღონდ არა სპორტიდან, არამედ გუნდიდან და, ბუნებრივია, სურს, მშობლიურ „ინდიანაში“ გატარებული ბოლო სეზონი ომახიანად ჩაამთავროს. ჯერჯერობით ოქროსხელება რეჯი თავის საქმეს მშვენივრად აკეთებს. სერიის მეოთხე თამაშში მეტოქე მეტიუ გეიგერთან ჩხუბის გამო მილერმა მეხუთე შეხვედრა გამოტოვა. ის მატჩი მისმა გუნდმა წააგო და რეჯიმაც ლამის ალთქმა დადო, რომ მომდევნო ორთაბრძოლაში მეტოქეს თავზედს აწყვეტინებდა. ინდიანელს სიტყვა არ გაუტეხია. „ის დიდი მოთამაშეა, მებრძოლი და მარცხს ვერ ურიგდება — ამბობს მილერზე „ფილადელფიას“ მსროლელი და სერიაში მისი მეურვე აარონ მაკი — და რაც მთავარია, პლეი ოფში არნახულად უმატებს. აქ იგი სულ სხვა რეჯია, ვიდრე რეგულარულ სეზონში“.

მილერს რომ მოთმინება დაეკარგა, ფილადელფიელებმა რა ხერხს არ მიმართეს. „ფილადელფიას“ 21-ათასკაციანი დარბაზი გამაყრუებელი ღრიანცელითა და ლანძღვა-გინებით ეგებებოდა მის ყოველ ბურთის მიღებას, ხოლო როცა სტუმართა ლიდერი საჯარიმოს ესროდა, ფარსუკან ქალის ტანისამოსში გამოწყობილი და პარიკიანი ბიჭუნა ლამის ცხვირწინ უფრიალებდა ტრანსპარანტს წარწერით: „რეჯი-სუპერგოგონა!“ თუმცა, ყოველივე ეს ნაკლებად აღელვებდა ცივსისხლიან და ენამწარე მილერს, რომელმაც თამაშის შემდგომ ფილადელფიელებს უპასუხა, მე თუ სუპერგოგონა ვარ, თქვენი საყვარელი გუნდი დიაცთა კრებულიაო.

მილერმა თავის გუნდს მატჩის პირველი მეოთხედი 37:25 მოაგებინა, თავად კი 13 ქულა მიითვალა. ფილადელფიელები მომდევნო მეოთხედში გამოფხიზლდნენ და ტონი კუკოჩის ორქულიანის შემდეგ 45:45 გაათანაბრეს. სულ ეს იყო, რაც მათ შეძლეს. ამის შემდეგ მასპინძელთა ლიდერმა ალენ აივერსონმა, რომლისგანაც თითოეულ მატჩში 30-35 ქულას ელოდნენ, 12 სროლიდან 9 გააცუდა და სულ 9 ქულას მიითვალა. რაღა გასაკვირია, რომ „ფილადელფიამ“ მეორე ნახევარში დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მოძალებულ სტუმრებს.

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი | 4 |
| მაიამი | 3 |

19 მაისი

**ნიუ იორკი 72:70 მაიამი**

ნიუ იორკი: ვორდი (7), ჰიუსტონი (21), სპრიუელი (15), ჯონსონი (6), იუინგი (15 ქულა, 18 მოხსნა); კემბი (4), ჩაილდსი (4), ტომასი

მაიამი: ჰარდევეი (2), მარლი (10 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), მაშბურნი (8), ბრაუნი, მურნინგი (22 ქულა, 10 მოხსნა); კარტერი (15), ბოუენი (7), ვეზერსპუნი (6), ტორპი

21 მაისი

**მაიამი 82:83 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (15), მარლი (8), მაშბურნი (7), ბრაუნი (9), მურნინგი (29 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება); ვეზერსპუნი (6), ტორპი (4), კარტერი (2), ბოუენი (2)

ნიუ იორკი: ვორდი (7), ჰიუსტონი (4), სპრიუელი (24), ჯონსონი (8), იუინგი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჩაილდსი (15), ტომასი (4), კემბი (10 ქულა, 12 მოხსნა)

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფების ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ძნელად თუ ახსოვს ორ გუნდს შორის ასეთი დაძაბული პაექრობა. მართალია, „ნიუ იორკი“ და „მაიამი“ ერთმანეთს არათუ ნბა-ს ფინალში, არამედ კონფერენციის ფინალშიც არ შეხვედრიან, მაგრამ ბოლო ოთხ სეზონში მათი ოთხი შერკინება ლამის პლეი ოფების კლასიკად იქცა. ოთხივე სერიის თითქმის ყველა თამაშის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა და საბოლოო გამარჯვებულიც მხოლოდ გადამწყვეტმა შეხვედრებმა გამოავლინა.

ამ სერიაში „ნიუ იორკმა“ ფაქტობრივად სასწაული მოახდინა, 2:3 ჩამორჩენის შემდეგ ორივე თამაში მოიგო და მომდევნო წრეშიც ღირსეულად გავიდა. „მაიამისთვის“ დასასრულის დასაწყისი მეექვსე თამაშის მესამე მეოთხედი გამოდგა. ამ დროს გუნდი 15 ქულის სხვაობით იგებდა და მაიამელთა ზეიმს წინ თითქოს არაფერი ედგა, მაგრამ პატ რაილის ბიჭებმა დაივიწყეს მეტოქის ვინაობა. „ყველაფერი მთავრდებოდა, მათი საქმე გათავებული იყო, მაგრამ ნაადრევად ვირწმუნეთ გამარჯვება. ცოტა დაცვისთვის რომ მოგვეჭირა და ორიოდე ბურთი ჩაგვეგდო... მეშვიდე თამაშში თავს არ დავზოგავთ გამარჯვებისთვის, ამას თქმაც არ უნდა, მაგრამ შეგვეძლო, ახლავე დაგვემთავრებინა ეს დაუსრულებელი მარათონი“ — ამბობდა მეექვსე მატჩის შემდეგ „მაიამის“ ვეტერანი გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი. პირველი ტაიმი „მაიამიმ“ 15 ქულით (45:30) მოიგო, მაგრამ შემდეგ ორ მეოთხედში გაანიავა ეს უზარმაზარი უპირატესობა და როდესაც ბებერმა ნიუიორკელმა პატრიკ იუინგმა ბოლო წუთზე ჩაუტენა, „ჰითს“ აქეთ გაუხდა თამაშის გადარჩენისთვის წვალება და ზრუნვა. თუმც აქედან მისთვის სახეირო ვერაფერი გამოვიდა, სათადარიგო ენტონი კარტერმა ბოლო წამზე სამქულიანი ააცილა.

მეშვიდე თამაში სერიის გვირგვინად იქცა და აქაც ვერ ივარგა „მაიამიმ“. ისევ გაფლანგა შედარებით მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობა. „ჰითი“ პირველი მეოთხედის შემდეგ 25:16 იგებდა. მაყურებელმა კვლავ იხილა ორი დიდი ცენტრის — ალონზო მურნინგის და პატრიკ იუინგის დუელი, რომელშიც ამ უკანასკნელმა იმარჯვა. იუინგმა ისევ ჩატენვით დაუსვა წერტილი შეხვედრას და მთლიანად სერიას.

## კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# ონილი მოგვარესაც არ ინდობს

### დასავლეთი

20 მაისი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| პორტლენდი | 0 |

**ლეიკერსი 109:94 პორტლენდი**

ლეიკერსი: ჰარპერი (8), ბრაიანტი (13), რაისი (15), გრინი (4), შ. ონილი (41 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი, 5 დაფარება); ჰორი (12), შოუ (8), ფოქსი (5), ფიშერი (3), ნაითი

პორტლენდი: სტუდემაიერი (10), სმიტი (13), პიპენი (19 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (11), საბონისი; ველსი (17), შრემპფი (11), გრანტი (9), ჯ. ონილი (4), ენტონი

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთში კონფერენციის ნახევარფინალები საბოლოოდ არ გასრულებულიყო, დასავლელებმა კონფერენციის ფინალური სერიის გახსნა მოასწრეს. ლოს ანჯელესში „ლეიკერსმა“ „პორტლენდი“ საკმაოდ იოლად დასცა და ამას სხვას ვის უნდა უმადლოდეს, თუ არა შაკილ ონილს. ეს ვეება კაცი ძალუმად მიილტვის ჩემპიონობისკენ და გზად ყველა შემხვედრს ფეხქვეშ თელავს. ამჯერად ონილმა არავიდას საბონისი იმსხვერპლა. მან საშინელ დღეში ჩააგდო შებერებული ლიტველი, რომელსაც იმ დღეს ნამდვილად არ ძალუძდა ამ გიგანტის შეჩერება. ონილმა ორივე ფარზე პირწმინდად დაჩარგა მეურვე და 33 წუთში ქულაც არ გააკეთებინა. საბონისი რომ ვერას გახდა, მას რაშიდ ვოლესი აედევნა, მაგრამ მან მესამე მეოთხედში ორი ტექნიკური დასტყუა მსაჯებს და შაკს ჯერმენ ონილილა შერჩა ხელში. ეს ყმაწვილი პორტლენდელი მაღალი კია, მაგრამ ამასთანავე გვარიანად გამხდარიც და ამ მძლავრ მოგვარეს რას დააკლებდა. ერთი სიტყვით, შაკილ ონილი რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აკეთებდა. თამაშში ყველა პერსონალური მეურვე დაიბრიყვა და ბოლო მეოთხედში „ბლეიზერსის“ თავკაცმა მაიკლ დანლივიმ მოედანზე მყოფი ხუთივე მეტოქე მის გასაუვნებლებლად დაგეშა. ონილი მიიღებდა თუ არა ბურთს, მასთან ყველაზე ახლოს მყოფი სტუმარი წამსვე ჯარიმდებოდა. „ლეიკერსის“ ყველა შეტევაც საბოლოოდ იმით მთავრდებოდა, რომ შაკი ორ საჯარიმოს ისროდა. თამაშის მარტო ბოლო ხუთ წუთში 12-ჯერ დადგა იგი საჯარიმოს ხაზთან. თორმეტი ჩააგდო და ერთი ამდენიც ააცილა. თუმც ამას ხელი არ შეუშლია „ლეიკერსისთვის“, პირველი იოლი გამარჯვება ეზეიმა.

სერიის მეორე თამაშიც ლოს ანჯელესში გაიმართება, სადაც „ლეიკერსს“ მიმდინარე პლეი ოფში ჯერაც არ წაუგია.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველების ბრინჯაოს ხანა ვროცლავში



ნესტორ ხერგიანი



გიორგი რევაზიშვილი



ალექსი დავითაშვილი



ივერი ჯიქურაული

ვროცლავში დასრულებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრები ოთხი ბრინჯაოს მედლით ბრუნდება. მედლები ნესტორ ხერგიანმა (60), გიორგი რევაზიშვილმა (73), ივერი ჯიქურაულმა (100) და ალექსი დავითაშვილმა (აბსოლუტური) მოიპოვეს.

ნესტორ ხერგიანი რომ პოლონეთში შარშანწინდელი წარმატების (მაშინ კონტინენტის ჩემპიონი გახდა) გასამეორებლად მიდიოდა, საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ტურნირიც კარგად დაიწყო, თითქოს სურვილიც უნდა ასრულებოდა, საბოლოოდ კი მხოლოდ შარშანდელ მიღწევას დასჯერდა. თავიდან ხერგიანმა უკრაინელი რუსლან მირზალიევი გააკრა ტატამს, მერე გერმანელი ოლივერ გუსენბერგი და შვეიცარიელი დავიდ მორეც ზედ მიაყოლა და ნახევარფინალში გავიდა. აქ კი ვერაფერს გახდა ფრანგ ერიკ დესპეზელთან. მასთან დამარცხებულ ჩვენებურს სხვა რა დარჩენოდა, ბრინჯაოს მედლისთვის საჭიდაოდ სანუგეშო წრის გამარჯვებულს დაელოდა. იგი პოლონელი იაცეკ ცირანი აღმოჩნდა. მასთან შეხვედრაში ნესტორმა შანსი აღარ გაუშვა ხელიდან.

გიორგი რევაზიშვილმაც შთამბეჭდავად დაიწყო ტურნირი, ზედიზედ დაამარცხა ლიტველი ალამას ტეხოვასი, მასპინძელი რაფაელ კოზიელევსკი და ხორვატი მარკო სენტიჩი. ფინალში გასასვლელ შეხვედრაში მისი მეტოქე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რუსი ვიტალი მაკაროვი იყო. სამწუხაროდ, გიორგიმ წააგო და ამით მთავარი მწვრთნელის იმედი, რომ ერთი ჩემპიონი მაინც ეყოლებოდა, საბოლოოდ დაასამარა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში რუმინელ კლაუდიუ ბასტიასთან კი ყველაფერი გაილო და გაიმარჯვა.

ივერი ჯიქურაული სტარტზევე დამარცხდა რუს იური სტიოპკინთან და ალბათ მის მედალოსნობას ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, მაგრამ შემდეგ ბოსნიელი სლობოდან კლაჩარი, რუმინელი რადუ ივანი, ფრანგი გისლენ ლემერი და პორტუგალიელი პედრო სუარესი ჩამოიცილა გზიდან და ბრინჯაოს დაეუფლა.

ზუსტად ასეთი გზა განვლო მედლამდე ალექსი დავითაშვილმაც. ისიც პირველ შეხვედრაში დამარცხდა გერმანელ ფრანკ მიოლერთან, მაგრამ რაკი მან წარმატებით გააგრძელა მედლისთვის ბრძოლა, სანუგეშო ტურნირში ჩაება. აქ მისი შეჩერება ვერც რუსმა მურატ ხასანოვმა, ვერც რუმინელმა გაბრიელ მუნტიანუმ და ფრანგმა ჟერომ დეიფრუსმა შეძლეს.

ბრინჯაომდე ბევრი არ დაკლებია გია გუგავას (90). ლიტველ ალგიმანტას მერკევიჩუსთან გამარჯვების მერე, ფრანგ ფრედერიკ დემონფოკოსთან დამარცხდა და სანუგეშო ტურნირში გადაერთო. აქ ავსტრიელი რომან იაჰოდა კი დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში რუს დმიტრი მოროზოვთან წააგო, ვისთანაც წლეულს ერთ-ერთ სალიცენზიო ტურნირში წმინდად გაიმარჯვა.

გუნდის სხვა წევრები — დებიუტანტი დავით მარგოშვილი (66), ჯონდო მუზაშვილი (81) და რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე) პირველ შეხვედრებში დამარცხდნენ და რადგან მჯობნის მჯობნი მათ მომგებებსაც იქვე გამოუჩნდათ, ჩემპიონატს ნაადრევად გამოეთიშნენ.

**ირაკლი თავაძე**

## რაგბი

თბილისი
21 მაისი

**ლოკომოტივი-1 27:10 ყოჩები (10:0)**

ლოკომოტივი 1: ჩადუნელი, ჩაჩუა (ჯიბლაძე), ბერიაშვილი (მელაძე), ბურდული, ხუადე (ცხომელიძე), უდესიანი (გომიაშვილი), სორდია (გიორგაძე), კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ძნელაძე, ალანია (გ. მათიაშვილი), კ. მათიაშვილი, ასათიანი
ლ — კვინიხიძე (2), ასათიანი, გ. მათიაშვილი, სარიშვილი; გ — ანდღულაძე
ყოჩები: კიკუაშვილი, ფირიაშვილი, გოლიაძე, ხურცილავა, დ. ხაბეიშვილი, თევდორაძე (გ ხაბეიშვილი), გიგაური, სოფრომაძე (ჩაკვეტაძე), გიორხელიძე, ტეფნაძე, მხეიძე, ბარძიმიშვილი, შენგელია (ჯანელიძე), იმნაძე, პეტრიაშვილი
ლ — გიორხელიძე; გ — ტეფნაძე; ს — ტეფნაძე
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

თბილისი
21 მაისი

**ასკ 15:21 დათვები (0:14)**

ასკ: მაისურაძე, სუჯაშვილი, ქავთარაძე, მათიაშვილი, გახოკია (ვალიშვილი), სვანიძე, ცხადაძე, გაფრინდაშვილი, სულთანიშვილი (სამხარაძე), მაღრაძე (ძამიაშვილი), ბალანჩივაძე, კაპანაძე, კოდუა, მინაშვილი, კიკნაძე
ლ — სუჯაშვილი (2); გ — ძამიაშვილი; ს — ძამიაშვილი
დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ღლონტი, ჩირგაძე, რეხვიაშვილი, გოგისვანიძე (წულაძე), აბაშიძე, ფხაკაძე, გიორგაძე, მაჩიტიძე, ჯანაშია, სვინტრაძე, ჩუბინიძე, აბდალაძე
ლ — მაჩიტიძე, გურეშიძე, გიორგაძე; გ — მაჩიტიძე (3)
მსაჯი: რ. სანებლიძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე



# როცა მეტოქეც მოკავშირეა



REUTERS ჰამბურგიდან

გუსტავო კუერტენი



REUTERS რომიდან

მონიკა სელეში

**რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,1 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **ფაბიოლა ზულუაგა** (კოლუმბია) — ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) 3:6, 6:0, 6:4; **მონიკა სელეში** (5, აშშ) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:1, 3:6, 6:3; **ამელი მორესმო** (12, საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (6, ესპანეთი) 6:1, 5:7, 6:4; **კორინა მორარიუ** (აშშ) — ჯულია კაზონი (იტალია) 3:6, 6:4, 7:5.
ნახევარფინალი: **სელეში** — მორარიუ 6:3, 6:1; **მორესმო** — ზულუაგა 6:1, 6:2.
ფინალი: **სელეში** — მორესმო 6:2, 7:6 (7:4).

კვირას მონიკა სელეშმა კარიერაში მეორედ მოიგო იტალიის ღია პირველობა. მარადიულ ქალაქში ამერიკელის პირველი ტრიუმფიდან ათმა წელმა განვლო — 1990-ში, როდესაც სელეშმა ფინალში ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვა დაამარცხა, ის ჯერაც 16 წლის ღლაპი იყო, პრესკონფერენციებზე სალეჭ რეზინს ბერავდა და იუგოსლავიის სახელით გამოდიოდა.

„ამ ტურნირს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს გულში, რადგან 10 წლის წინათ აქ პირველად დავამარცხე ერთ-ერთი ჩემი კერპთაგანი. ახლაც მწამს, რომ იმ მატჩმა ჩემი კარიერა შეცვალა და დიდად დამეხმარა წარმატებების მიღწევაში. მოვუგე ნავრატილოვას (6:1, 6:1), რომელსაც ბავშვობიდან ვეთაყვანებოდი და რომლის პლაკატიც ოთახში მეკიდა" — იხსენებს დღეს სელეში.

კარიერის განმავლობაში 47 ტიტულის მომპოვებელმა მონიკამ რომში მიღწეულის გამეორება გასულ კვირამდე ვერ მოახერხა: 1991-92-ში ფინალში გაბრიელა საბატინისთან წააგო, მერე მავანმა შერეკილმა გერმანელმა დანით დაჭრა და კარგა ხნით ჩამოაშორა დიდ სპორტს.

დღევანდელი სელეში ოდინდელი მოღიმარი, უზრუნველი თინეიჯერისგან, ქონამოდებული ტან-ფეხისა და ვეტერანის სტატუსის გარდა მენტალიტეტითაც განსხვავდება — თუ ადრე მატჩებისა და ტურნირების მოგება მისთვის სრულიად ბუნებრივი რამ იყო, განვლილმა წლებმა რწმენა შეურყია და მნიშვნელოვან მომენტებში ზედმეტ მღელვარებისგან გამოცდილებასაც კი ვერ ფარავს.

იგივე მოხდა ფინალშიც. 20 წლის ნიჭიერი ლესბოსელი ამელი მორესმო სელეშმა თავიდან აშკარად დაჩაგრა საფირმო ჭყვიტინითა და ორხელა ზუსტი დარტყმებით კორტზე გაილალა და დაწყებიდან ერთი საათის თავზე შეეძლო, უკვე დაჯილდოების ცერემონიალზე წარმოსათქმელ სამადლობელ სიტყვაზე ეფიქრა.

მაგრამ შესაძლო გამარჯვებამ მონიკა მოულოდნელად დააფრთხო. მან შეცდომებს უხშირა და ჯერ 5:4-ზე, მერე კი 6:5-ზეც საკუთარი მოწოდება დაკარგა.

უფრო გამოცდილ მოთამაშეს, ვინძლო ესარგებლა კიდეც ამერიკელის გაუწონასწორებლობით, მაგრამ საქმე ის არის, რომ კვირაში ერთი-ორჯერ ფსიქოლოგთან დივანზე წამოკოტრიალება არც მორესმოს აწყენდა — დაკუნთული ფრანგი მისთვის ბოძებულმა შანსმა მეტოქეზე არანაკლებ შეაშინა და მატჩის ბოლო წუთებზე ბურთის კორტზე მოხვედრებაც კი უჭირდა.

საბოლოოდ დაძაბულ ტაი-ბრეიკზე ნერვები უფრო სელეშმა მოთოკა და როდესაც მატჩ-პოინტზე ფრანგმა იოლი სმეში ააცილა, სიხარულისგან ცუნდრუკით გაემართა ბადისკენ.

„აქ მხოლოდ იმიტომ ჩამოვედი, რომ საფრანგეთის ღია პირველობის წინ ცოტა გამევარჯიშა და ორი-სამი მატჩი გამემართა. ნამდვილად არ მეგონა, თუ ჩემპიონი გავხდებოდი — აღიარა მოგვიანებით მონიკამ — არ ვიტყვი, რომ როლან გაროსისთვის ფავორიტად უნდა ჩავითვალო. ფიზიკურად და ტექნიკურად ჯერაც ბევრ რამეზე უნდა ვიმუშაო."

**მასტერსის სერია — ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:4, 6:2; **მარატ საფინი** (12, რუსეთი) — სედრიკ პიოლინი (4, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:3; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 7:5, 6:4; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 6:3.
ნახევარფინალი: **კუერტენი** — პაველი 6:3, 6:3; **საფინი** — რიოსი 7:6 (10:8), 6:2.
ფინალი: **კუერტენი** — საფინი 6:4, 5:7, 6:4, 5:7, 7:6 (7:3).

რა შეიძლება მოხდეს, როდესაც სეზონის ორი საუკეთესო მოთიხნარე მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში წითელ მიწაზე შეხვდება ერთმანეთს?

ბრაზილიელი გუსტავო კუერტენისა და რუსი მარატ საფინის ფინალური მატჩი ჰამბურგში მთელ 3 საათსა და 50 წუთს გაგრძელდა, თუმცა ტრიბუნებზე გატარებული დრო სანანებლად ერთ მაყურებელსაც არ დარჩებოდა.

სეზონი არც ერთი მოთამაშისთვის არ დაწყებულა კარგად: კუერტენი ორი თვე ცდილობდა, ჩვეულ ფორმაში ჩადგომას, საფინს კი აპრილის ბოლომდე ვისაც არ ეზარებოდა, ყველა უგებდა. მაგრამ თავდაჯერება „გუგამ" მალევე დაიბრუნა, ზურგის ქრონიკული ტრავმაც მოირჩინა და „თიხნარის მეფის" ტიტულიც დაიბევა. თავის მხრივ საფინს მხსნელად ახალი მწვრთნელი, ანდრეი ჩესნოკოვი მოევლინა და თანამემამულის საქმიანი შემწეობით 18-დან 17 მატჩიც მოიგო.

ზორბა რუსს აქამდე კუერტენი სამჯერვე დაემარცხებინა და ახალი მოძღვარი შორს რომ არ დაეგულებინა, შესაძლო იყო, ეს ერთხელაც მოეხერხებინა. მაგრამ ჩესნოკოვი ჰამბურგში ვერ ჩავიდა და საფინმაც გაილალა ფინალში, ბოლო ხანებში ვეტოდადებული ჩვევები — ჩოგნის კორტზე გდება და უაზრო რისკიანობა გაიხსენა.

უკანა ხაზიდან ბურთის ყუმბარისებური გაცვლა-გამოცვლის გარდა ჩოგბურთელებმა უფრო შთამბეჭდავი და დახვეწილი შემოკლებულებით, ბადესთან ხშირი გასვლებითაც გამოიჩინეს თავი.

მეხუთე, გადამწყვეტ ხელში კუერტენს ფეხის კუნთების კრუნჩხვის საწამლოდ რამდენჯერმე დასჭირდა ექიმის, იურგენ დესის დახმარება და გეიმებს შორის შესვენებებზე დაჯდომასაც ველარ ახერხებდა. 5:6-სა და 0:30-ზე „გუგა" სულაც ორ ქულაში აღმოჩნდა მარცხიდან, თუმცა საფინმა ისევ აურია, მერე კი ტაი-ბრეიკზეც რამდენჯერმე შეცდა.

„არაჩვეულებრივი მატჩი იყო, ორივემ შესანიშნავად ვითამაშეთ და ყველაფერი გავიღეთ, რაც გაგვაჩნდა. საბედნიეროდ, მე უფრო გამიმართლა. პარიზში ძალიან თავდაჯერებული მივემგზავრები" — განაცხადა ბრაზილიელმა, რომელსაც გამარჯვებისთვის 400 ათასი დოლარი ერგო.

**ავთანდილ სვანიძე**

# ფერარისთვის სულერთია, დარია თუ ავდარია

ეტყობა, მნიშვნელობა არა აქვს, როდის ჩატარდება „ნიურბურგრინგზე" რბოლა — შემოდგომით თუ გაზაფხულზე. ნებისმიერ შემთხვევაში პილოტებს სიცივე და წვიმა გარანტირებული აქვთ. ასე იყო ეიფელის მთებში შარშან სექტემბრის ბოლოს და გასულ უქმეებზეც. თუ ასე გაგრძელდა, იქნებ სულაც გამოეთხოვოს გერმანია თავის ტერიტორიაზე ფორმულის მეორე ეტაპს.

უამინდობის გამო მრბოლებმა საკვალიფიკაციო საათის მხოლოდ ნახევარი გამოიყენეს, კვირას კი ტრასას ისეთი თავსხმა დაატყდა, რომ ამ ევროპულ რაუნდს ლამის შეწყვეტის საშიშროებაც დაემუქრა.

შაბათს თავიდან დარი კი იყო, მაგრამ წვიმის შიშით პრაქტიკულად ყველანი პირველივე წუთებიდან შეუდგნენ საქმეს. სამივე ლიდერიც უჩვეულოდ ადრე წავიდა ჩასათვლელ წრეზე. ჰაკინენის დროს — 1.19.041 კულჰარდმა ნახევარი წამი ჩამოაკლო, შოტლანდიელის შედეგს კი ამდენივე — მიხაელ შუმახერმა. შუა კვალიფიკაციისას სამეულმა კიდევ ერთხელ სცადა, თუმც მხოლოდ კულჰარდმა იხეირა — მიკას შემდეგ შუმიც უკან ჩამოიტოვა და პირველი სასტარტო პოზიციაც დაიბევა.

ეს იყო და ეს. მალე წვიმაც წამოვიდა და ისედაც არცთუ სწრაფი შედეგების გაუმჯობესება შეუძლებელი გახდა.

კულჰარდს ყოვლისმცოდნე სტატისტიკისთვის რომ დაეჯერებინა, პოულის მოგება იქნებ არც კი გახარებოდა. საქმე ისაა, რომ ბოლო 10 კვალიფიკაციაში გამარჯვებულმა მეორე დღეს რბოლაში პირველობა ველარ შეძლო. არადა, ლიდერებთან ჭიდილში წლეულს პირველი, კარიერაში კი მეცხრე წარმატებით შოტლანდიელი ალტაცებული ჩანდა.

დებიუტანტ ჰაიდფელდს ვერ ეღირსა მშობლიურ ავტოდრომზე თანამემამულეთა წინაშე გაჯირითება: მართალია, კვალიფიკაციაში თავისი საუკეთესო, მე-13 შედეგი აჩვენა, მაგრამ აწონვისას ის და მანქანა ერთად მინიმალურ, 600 კგ-ზე სულ რაღაც ორი კილოთი მსუბუქი აღმოჩნდა, რასაც უმკაცრესი სასჯელი მოჰყვა და ნიკს სტარტზე გამოსვლის ნება არ დართეს.

რბოლა დარში ჰაკინენის ფანტასტიკური სტარტით დაიწყო. კულჰარდმა შუქნიშანზე რეაგირება დააგვიანა და ეს წამიერი შეყოვნება ერთბაშად ორი პოზიციის დაკარგვად დაუჯდა, თან მანქანის კუდში პრობლემები შეექმნა და ხეირიანად არც კი დასცალდა ლიდერობა. მიკა კი სასტარტო ნიშნისთანავე მოსწყდა ადგილს და მეორე რიგიდან ისარივით გაძვრა შუმახერსა და კულჰარდს შორის. ვერ ვიტყვით, რომ მიხაელს ცუდი სტარტი ჰქონდა, უბრალოდ ჰაკინენის მოქმედება იყო უზუსტესად გათვლილი და უნაკლოდ შესრულებული.



მიხაელ შუმახერმა კარიერაში 39-ედ გაიმარჯვა

REUTERS ნიურბურგრინგიდან

ამჯერადაც იყოჩაღა ვილნევმა — პირველივე მეტრებზე ერთბაშად ოთხი მეტოქე ჩამოიტოვა უკან და მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა.

შუმი ოციოდე მეტრით უკან, კუდში მისდევდა მიკას და გასასწრებად შეტევას შეტევაზე ახორციელებდა. ჩემპიონიც ყოველმხრივ ცდილობდა სხვაობის გაზრდას, მაგრამ უშედეგოდ — ათი წრე ის უმცირესი ინტერვალი არ შეცვლილა. გერმანელი პილოტის აქტიურ-აგრესიულ მანერას ბოლოს და ბოლოს შედეგიც მოჰყვა: მე-11 წრეზე, ის იყო გაწვიმდა, რომ ლიდერობის ხელში ჩაგდების მორიგმა ცდამ მას წარმატება მოუტანა — ურთულესი მოსახვევის — „შიკანოს" წინ მიხაელმა მეტოქეზე გვიან დაამუხრუჭა და ამის ხარჯზე შეძლო შიდა მხრიდან ფინელისთვის გვერდის ავლა. იქვე ბარიკელომაც საკმაოდ იოლად გაასწრო კულჰარდს ისეთი გრძელი მონაკვეთის ბოლოს, სადაც სწრაფი და ჩინებული მანევრირების უნარიანი „მაკლარენი" ჩვეულებრივ არავის არაფერს უთმობს.

შუმახერმა კი, რაკი წინ ცარიელი ტრასა დაიგულა, ტემპს უმატა და მალე 6 წამამდე დაშორდა უახლოეს მდევარს.

წვიმამ, ცხადია, მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა საბოქსე ტაქტიკაში, რის გამოც დაუგეგმავი პიტსტოპები დაიწყო. უკვე მე-15 წრეზე, სულ რაღაც 70 კმ-ის გავლის მერე, კულჰარდმა „სლიკები" საწვიმარი საბურავებით შეცვალა. მალე მას წინა ეტაპის მსგავსად, ერთდროულად მიჰყვნენ ლიდერებიც, თუმც ამჯერად როლები შეიცვალა — „ფერარის" მექანიკოსებმა შუმახერი 12 წამით შეაყოვნეს, მიკა კი 4 წამით მეტხანს შეფერხდა, რის გამოც არა მარტო მიხაელის, არამედ თანაგუნდელის ზურგს უკანაც დაბრუნდა ტრასაზე. მართალია, კულჰარდთან სულ მალე აღადგინა სუბორდინაცია, მაგრამ ამ დროს შუმახერთან უკვე 15 წამს აგებდა.

ლიდერმა ახალი საბურავებით უფრო დამაჯერებლად იგრძნო თავი, თუმც ასეთ თავსხმაში მანქანის შეკავება დატბორილ გზაზე ძალიან ჭირდა და ფინიშამდე უავარიოდ მიღწევა და თუნდაც ქულის შოვნა დიდი საქმე იყო. შუმი უზრუნველი უპირატესობით ლიდერობდა და თითქოს წინ მავალთა შხეფებს არ უნდა დაებრკოლებინა, მაგრამ წრით ჩამორჩენილები ისე ნელა დაბობღავდნენ („მშრალ" დროზე 8-10 წამით უარესი შედეგით), რომ მაინც იქმნებოდა ავარიის საშიშროება.

ექსტრემალური სიტუაციის მიუხედავად, ევროპის დიდი პრიზი წინა ეტაპებზე ბევრად ცოცხალი და საინტერესო გამოვიდა. წვიმამ ისედაც დაძაბული ბრძოლა უფრო გაამწვავა და სარისკოც გახადა. 29-ე წრეზე ერთბაშად სამი მანქანა დაიმტვრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, ვერსტაპენიც კი, რომლის „ეროუსიც" ბარიერთან მინარცხების შემდეგ თითქმის სანახევროდ დაიშალა. სულ კი 11-მა ბოლიდმა ვერ მიაღწია ფინიშამდე.

შუა დისტანციაზე ლიდერთა ექვსეული ასე გამოიყურებოდა — მიხაელ შუმახერი, ჰაკინენი, კულჰარდი, ბარიკელო, ფიზიკელა, დელა როსა.

შუმახერისა და ბარიკელოს მეორე პიტსტოპებიც ზუსტად იმდენივე ხანს გაგრძელდა, რამდენიც პირველი — შესაბამისად 12 და 7 წამი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, შუმის საწვავი ბოლომდე უნდა ყოფნოდა. რაკი ჰაკინენმა მოცდა ამჯობინა, ცხადია, ლიდერობაც მას ჩაუვარდა ხელში. მიკა მაქსიმალურად „ჭიმავდა" დროს, იქნებ იმის იმედითაც, რომ თუ წვიმა გაძლიერდებოდა, რბოლას შეწყვეტდნენ და გამარჯვებაც მას დარჩებოდა. მაგრამ ფინელსაც ძალიან დიდხანს აღარ გაურისკავს და ფინიშამდე 12 წრით ადრე რვა-ნახევარი წამით შეიარა საწვავის ჩასამატებლად, თუმც ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ლიდერობა შუმახერს დაბრუნებოდა 10-წამიანი უპირატესობით.

რბოლის ბოლომდე 70 კმ-ით ადრე ბარიკელო მესამედ და ამჯერადაც იგივე დროით შეყოვნდა ბოქსებში, რითაც ძალიან გაირთულა საქმე და მესამე ადგილი და საპოდიუმო შამპანური საკუთარი ხელით მიართვა კულჰარდს. რუბინიომ ბოლოს ერთი ორჯერ გაიბრძოლა გასასწრებად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ხუთიოდე წრით ადრე კი, საკმაოდ შემსუბუქებული და მართალია მცირედ, მაგრამ მაინც საბურავებშეჭმული ბოლიდი შუმახერს ორჯერ მეტად სახიფათოდ მოუსრიალდა სველ გზაზე და მხოლოდ ოსტატობამ შეაძლებინა ტრასაზე დარჩენა. ცხადია, ბოქსებზე მესამედ არც კი უფიქრია, რადგან ეს წაგების ტოლფასი იქნებოდა.

მალე, როგორც იქნა, ჯოჯოხეთი მშვიდობიანად დასრულდა და მიხაელმაც კარიერაში 39-ე, ალბათ ერთ-ერთი უძნელესი გამარჯვება მიითვალა. თანაც, ის საუკეთესო დრო, რომელიც მან მე-8 წრეზე, ჯერ კიდევ მშრალ ტრასაზე აჩვენა, 41-ე გახდა და შუმახერი წ... ეწია რეკორდსმენს, ლეგენდარულ ალ... პროსტს. გარდა ამისა, საპირველადგ... ლო 10 ქულით გერმანელ პილოტს ჯა... მში 616 დაუგროვდა და ორი ქულით გაასწრო კიდევ ერთი ლეგენდარული ჩემპიონის, აირტონ სენას მაჩვენებელს. ამასთან, შუმის ეს მოგება მეოცეა „ფერარისთვის" — ერთი სიტყვით, იმ ს... წვალებელ ეტაპზე ლიდერმა დიდი მო... სავალი მოიმკა და, რაც უმთავრესია, კიდევ ოთხი ქულით, ანუ 18-მდე გაზა... რდა ჰაკინენთან უპირატესობა.

**ირაკლი ნიკოლა...**

## რბოლის შედეგები

**ევროპის დიდი პრიზი**
21 მაისი. ნიურბურგრინგი
დისტანცია — 67 წრე — 305.252 — კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:42.00,307 (179,235 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენი) ჩამორჩა 13,821 6 ქულა
3. კულჰარდი (მაკლარენი) 1 წრით 4 ქულა
4. ბარიკელო (ფერარი) 1 წრით 3 ქულა
5. ფიზიკელა (ბენეტონი) 1 წრით 2 ქულა
6. დე ლა როსა (ეროუსი) 1 წრით 1 ქულა
7. დინიცი (ზაუბერი) 2 წრით
8. მაცაკანე (მინარდი) 2 წრით
9. ალეზი (პროსტი) 2 წრით
10. ბატონი (უილიამსი) 5 წრით
11. ჰერბერტი (იაგუარი) 6 წრით
12. ვურცი (ჯორდანი) 6 წრით

**საუკეთესო წრე**

შუმახერი 1.22,269 (199.365 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ზონტა (BAR) გაიარა | 51 წრე |
| ჟენე (მინარდი) | 47 |
| ვილნევი (BAR) | 46 |
| ირვინი (იაგუარი) | 29 |
| ვერსტაპენი (ეროუსი) | 29 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 29 |
| სალო (ზაუბერი) | 27 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 2 |
| ტრული (ჯორდანი) | 0 |

## სტარტზე განლაგება

- 15 ჰაიდფელდი პროსტი. დისკვალიფიკაცია
- 21 მაცაკანე მინარდი 1.21,015
- 20 ჟენე მინარდი 1.20,162
- 17 სალო ზაუბერი 1.19,814
- 23 ზონტა BAR 1.19,766
- 14 ალეზი პროსტი 1.19,651
- 8 ჰერბერტი იაგუარი 1.19,638
- 16 დინიცი ზაუბერი 1.19,422
- 12 ვურცი ბენეტონი 1.19,378
- 18 ვერსტაპენი ეროუსი 1.19,190
- 19 დე ლა როსა ეროუსი 1.19,024
- 10 ბატონი უილიამსი 1.18,887
- 5 ფრენცენი ჯორდანი 1.18,830
- 22 ვილნევი BAR 1.18,742
- 7 ირვინი იაგუარი 1.18,703
- 11 ფიზიკელა ბენეტონი 1.18,697
- 6 ტრული ჯორდანი 1.18,612
- 9 რ. შუმახერი უილიამსი 1.18,515
- 4 ბარიკელო ფერარი 1.18,227
- 1 ჰაკინენი მაკლარენი 1.17,785
- 3 მ. შუმახერი ფერარი 1.17,667
- 2 კულჰარდი მაკლარენი 1.17,529

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | | | | | | | | | | | | 46 |
| 2 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | 28 |
| 3 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | 24 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | 3 | | | | | | | | | | | | 16 |
| 5 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | – | | | | | | | | | | | | 12 |
| 6 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | 2 | | | | | | | | | | | | 10 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | – | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | – | | | | | | | | | | | | 5 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | – | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | – | 1 | – | 2 | – | – | | | | | | | | | | | | 3 |
| ზონტა (BAR, ბრაზილია), სალო (ზაუბერი, ფინეთი), დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | 13 | | | | | | | | | | | | 62 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | 10 | | | | | | | | | | | | 52 |
| 3 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | – | | | | | | | | | | | | 15 |
| 4 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | 2 | | | | | | | | | | | | 10 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | – | | | | | | | | | | | | 9 |
| BAR — 6; ზაუბერი; ეროუსი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# ხორცი გაძვირდა, ჭამეთ კარტოფილი



კვიცი გვარზე: აქსელ მერქსს კარიერაში პირველი გამარჯვება პირველმა მამამ მიულოცა

Giro d'Italia 2000

„ჯიროს“ მეექვსე ეტაპზე მარიო ჩიპოლინიმ (საეკო) და სხვა ბობოლა პეპლებმა იმდენი ქნეს, პელოტონს გამარჯვებულის ბედი ფინალურ სპრინტში გაარკვევინეს. მთელი გზის მანძილზე მრბოლები უნიათოდ მიზოზინებდნენ და მხოლოდ ბოლოსკენ გაზარდეს სიჩქარე, სპრინტში კი ყველას დიმიტრი კონიშევმა აჯობა.

წლევანდელი „ჯიროს“ დაწყებამდე ბევრი ფიქრობდა, რომ სპორტსმენები ყველაფერს გაიღებდნენ საბოლოო წარმატებისთვის. თუმც ჯერ იყო და, უძლიერესთაგან უმეტესობამ (ლორან ჟალაბერი, იან ულრიხი, ლენს არმსტრონგი, აბრაამ ოლანო, ალექს ცულე...) საერთოდ უარი თქვა შეჯიბრში მონაწილეობაზე, ახლა კიდევ ეტაპების უმრავლესობას ნება-ნება ამთავრებენ აქ ჩასულები. ისე, არც უბედური შემთხვევები აკლია პელოტონს. ლამის დღე არ გავა, ჯგუფური წაქცევა არ მოხდეს, ანდა ვინმე მარტოობაში არ ჩამოვარდეს ველოსიპედიდან. ამის გამო რამდენიმე მრბოლმა ვადაზე ადრე დაასრულა იტალიაში ასპარეზობა.

პარასკევსაც ძლიერი ქარი ქროდა და შეიძლება ამიტომაც ფრთხილობდა პელოტონი ზედმეტად. ასეა თუ ისე, მრბოლა ფინიშამდე თითქმის ორმოცი კილომეტრით ადრე დაიწყო, როცა დიეგო ფერარიმ სცადა შეტევა. შემდეგ უკვე მაქსიმილიან სკიანდრიმ მოისურვა მარტოობა, მაგრამ მათი მცდელობები უნაყოფოდ დამთავრდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პელოტონი ერთად მიუახლოვდა ფინიშს. სპრინტში კი ყველას კონიშევმა აჯობა. საერთო ჩათვლაში ლიდერობა მატეო ტოსატომ შეინარჩუნა.

შაბათს „ჯიროზე“ პირველი გამარჯვება ბრიტანულმა გუნდმა „ლინდა მაკარტნიმ“ და მისმა ავსტრალიელმა მრბოლმა დევიდ მაკენზიმ მოიპოვეს, რომელსაც საკმაო ძალა აღმოაჩნდა იმისთვის, რომ 164 კმ ეულად ერბოლა და ეტაპიც წარმატებით დაეგვირგვინებინა.

ამ „პირველისთვის“ მაკენზიმ იერიშის წამოწყება სტარტიდან მე-18 კილომეტრზე გარისკა, როცა პელოტონი ადრიატიკის ზღვის ცქერით უფრო იყო გართული, ვიდრე რბოლით. თვისტომმა, ოღონდ არათანაგუნდელმა რობი მაკივენმა ურჩია მას, ბედი ეცადა. დანარჩენმა სპორტსმენებმა მაკენზის გაქცევის შემდეგ ყურიც არ შეიბერტყეს, თითქოს გაიფიქრეს, ნეტავი ამას, რომ არ ეზარება ტყუილად წვალებაო და იგივე ტემპში გააგრძელეს გზა.

მაკენზი კი თანდათანობით ზრდიდა უპირატესობას და 94-ე კილომეტრზე 12 წუთზე მეტს იგებდა. აქ კი პელოტონი გამოერკვა და, ემანდ მაგ ბიჭმა მართლა არ მიგვასწროს ფინიშზეო, სიჩქარესაც უმატა. მაკენზის უპირატესობამ თითქმის დნობა იწყო, მაგრამ ავსტრალიელი დანებებას არ აპირებდა. ცოტა ხანში კი იტალიელი ედი მაძოლენის პელოტონის სიჩქარე ძალიან დაბალი მოეჩვენა და მარტომ სცადა, დაწინაურებულს შეერთებოდა. თუმცა ყველაზე მეტი რაც მოახერხა, მაკენზის ფინიშამდე 20 კმ-ით ადრე სამ წუთამდე მიუახლოვდა. მაძოლენის კონტრშეტევა ავსტრალიელს მაინც წაადგა. გამოკიდების სურვილით ანთებული პელოტონი იტალიელს რომ დაეწია, ცოტა ხნით დაწყნარდა და ტემპი დაკარგა. ამიტომაც ფინიშს მაკენზიმ მარტოობაში უწია.

25 წლის ავსტრალიელისთვის ეს კარიერის ყველაზე დიდი წარმატებაა. იგი პროფესიონალი 1996 წელს გახდა და თავისი ქვეყნის ჩემპიონობაც მოასწრო, ვიდრე შარშან, დაარსებისთანავე შეუერთდებოდა „ლინდა მაკარტნი რასინგს“. მაკენზი უკვე ხუთი თვეა საფრანგეთში, ტულუზში ცხოვრობს მეუღლე სიუზანთან ერთად, რომელიც წლის ბოლოს დევიდს მამობის სიხარულს განაცდევინებს. „თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ მას შემდეგ, რაც ვეგეტარიანელი გავხდი. ჩემი ცოლი თავიდან ჩემს მხარდასაჭერად არ ჭამდა ხორცს, მერე კი ისიც ნამდვილი ვეგეტარიანელი გახდა. ეს ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის და ოჯახური ბიუჯეტისთვის — ხორცი ევროპაში ძალიან ძვირი ღირს“ — ამბობს დევიდ მაკენზი.

მერვე ეტაპი კვირას გაიმართა და ლეგენდარული ედი მერქსის ვაჟის, აქსელ მერქსის გამარჯვებით დასრულდა. ეტაპი ყველაზე გრძელი იყო. მრბოლებს 265 კილომეტრი ჰქონდათ დასაფარი. გზაზე აღმართებიც ბლომად იყო, ამიტომაც შეტევებიც ბევრჯერ უნდა განხორციელებულიყო.

პირველი ესპანელი ხავიერ გომესი (კელმე) გაიჭრა წინ და ვალიკო და სპინოს მწვერვალსაც პირველმა უწია. თუმცა იგი მალე ჩაყლაპა პელოტონმა. იერიშის რამდენიმე უიღბლო მცდელობის შემდეგ, 168 კმ-ზე ოთხკაციანი ჯგუფი დაწინაურდა, მაგრამ ისინი მხოლოდ ხუთიოდ კილომეტრზე ლიდერობდნენ.

სპორტსმენები პასო და კონსუმას აღმართს რომ შეუყვნენ, 11 მრბოლი, მათ შორის ვარდისფერმაისურიანი ტოსატო და მისი უახლოესი მდევარი კრისტიან მორენი დაწინაურდნენ. თუმცა ორივე ლიდერი მალე ჩამორჩა, კიდევ ორ სხვა მრბოლთან ერთად და პელოტონს შეუერთდა. მოწინავე შვიდეულმა კი მალე ხუთკაციანი შევსება მიიღო.

ლტოლვილთა ჯგუფს მალე ხოსე გუტიერესი, დანილო დი ლუკა და პაოლო ლანფრანჩი გამოეყვნენ. მათ მალევე ივან პარა, აქსელ მერქსი და ხოაკიმ კასტელბლანკი შეუერთდნენ. მონტე აკუტოს მთის დაძლევის შემდეგ, მაქსიმილიან სკიანდრი და ფილიპო კასაგრანდეც უკვე მათ რიგებში იყვნენ, პელოტონი კი წუთსა და 6 წამს აგებდა.

მერე კი, ჯერ კასტელბლანკო წაიქცა, მას მერქსიც მოჰყვა. თუმცა ორივემ მოახერხა რბოლის გაგრძელება ფინიშამდე. 1200 მეტრიღა რჩებოდა, როცა მერქსმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. მისი მიყოლა ველარავინ შეძლო და მანაც მამის თვალწინ მშვენიერი გამარჯვება მოიპოვა. საერთო ჩათვლაში პირველობა კი გუტიერესმა დაისაკუთრა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეექვსე ეტაპი**

პეჩიჩი — ვასტო, 160 კმ

1. დიმიტრი კონიშევი (რუსეთი, ფასა ბორტოლო) — 4სთ 42წთ 49წმ
2. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, პოლტი)
3. გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე)
4. ფაბიანო ფონტანელი (იტალია, მერკატონე უნო)
5. მორენო დი ბიაზე (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

**მეშვიდე ეტაპი**

ვასტო — ტერამო, 182 კმ

1. დევიდ მაკენზი (ავსტრალია, ლინდა მაკარტნი) — 4სთ 38წთ 29წმ
2. ვლადიმირ დუმა (უკრაინა, პანარია) — +5წმ
3. დიმიტრი კონიშევი
4. სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
5. გვიდო ტრენტი (აშშ, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

**მერვე ეტაპი**

კორინალდო — პრატო, 265 კმ

1. აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი) — 7სთ 50წთ 25წმ
2. მაქსიმილიან სკიანდრი (დიდი ბრიტანეთი, ლინდა მაკარტნი) — +6წმ
3. ფილიპო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა)
4. პაოლო ლანფრანჩი (იტალია, მაპეი)
5. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ხოსე გუტიერესი — 42სთ 41წთ 28წმ
2. აქსელ მერქსი — +12
3. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) — +17
4. მატეო ტოსატო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +20
5. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — +32



ლიდერის ვარდისფერი მაისური ხოსე გუტიერესმა (მარჯვენა) მოირგო



## PLAY OFF
ნახევარფინალი



REUTERS

წაქცეულმა ჯო ნუინდაიკმა კოლორადოელებს მაინც გაუტანა

# ტინა ტერნერმა კოლორადოსთვის იმღერა

**დასავლეთი**

**კოლორადო — დალასი 2:2**

19 მაისი

**კოლორადო — დალასი 2:0**

1:0 1:0 0:0

1:0 პოდეინი 1'39 (5); 2:0 დედმარში 34'50 (4)

21 მაისი

**კოლორადო — დალასი 1:4**

0:2 1:1 0:1

0:1 ნუინდაიკი 7'12 (5); 0:2 ჰალი 17'30 (6); 1:2 რიდი 21'43 (1); 1:3 ჰალი 27'52 (7); 1:4 მატვიჩუკი 44'59 (2)

დენვერელებმა ამერიკელ პოპ-ვარსკვლავ ტინა ტერნერს უნდა უთხრან მადლობა. ამ სერიის მეორე თამაშის შემდეგ სწორედ მისი გასტროლების გამო იყო სამდღიანი პაუზა, რამაც მათ გუნდზე დადებითად იმოქმედა. ჯერ ერთი, ამასობაში წამყვანი მცველი რეი ბურკი გამოჯანმრთელდა, მეორეც, კოლორადოს დასვენება ჰაერივით სჭირდებოდა, ვინაიდან პირველ ორ თამაშში სწორედ „ევულანშმა“ ღვარა მეტი ოფლი. ასეა თუ ისე, მესამე მატჩში დენვერელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. თანაც მასპინძლებმა პირველივე შეტევისას გახსნეს ანგარიში და მეტოქეს თავიდანვე თავგზა აუბნიეს. ამის შემდეგ დალასმა ზედიზედ ორი რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენა და მთლად განერვიულდა. მერე კი, 60 წუთის განმავლობაში ტეხასელები ათჯერ დარჩნენ უმცირესობაში და, ცხადია, არანაირი გააზრებული თამაში არ გამოუვიდათ. განსაკუთრებით მაიკ მოდანო სცოდავდა. კოლორადომაც ეს გარემოება ჩინებულად გამოიყენა. მეორე პერიოდში მასპინძელთა აშკარა უპირატესობა. ადამ დედმარშის გოლმა დააგვირგვინა, რომელმაც სწორედ მეტოქეთა ერთ-ერთი გაძევებით ისარგებლა. მხოლოდ მეკარე ედ ბელფორის დამსახურებაა, რომ დალასი კიდევ უფრო დიდი ანგარიშით არ დამარცხდა და თავი არ შეირცხვინა.

ამ მატჩის შემდეგ დალასი ძალიან გააკრიტიკეს პრესაში, შარშანდელი დონისგან შორსააო, მაგრამ ტეხასელებმა დაამტკიცეს, რომ მათი ჩამოწერა ნაადრევია — მეოთხე მატჩში დამაჯერებელი მოგებით მათ ყველა სკეპტიკოსს გასცეს პასუხი. ამჯერად, ჩემპიონმა გაცილებით გააზრებულად დაიწყო თამაში და მეტოქეს თავისი ჩვეული, დახურული ჰოკეი მოახვია თავს, ანგარიშიც გახსნა. პირველივე გაძევება ძვირად დაუჯდათ მასპინძლებს. სწრაფი კომბინაციის შემდეგ შაიბა ჯო ნუინდაიკს მიუვიდა, რომელიც ვერ იყო მაინცდამაინც ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მაინც მოახერხა დარტყმა და პირდაპირ ცხრილში შეაგდო. ამის შემდეგ ყველამ ნათლად დაინახა, რომ იმ დღეს კოლორადოს ძალიან გაუჭირდებოდა. ბელფორიც ხომ კვლავ ბრწყინვალედ თამაშობდა. აი, რუა კი ვერ გამოიყურებოდა ჩვეულად. ბრეტ ჰალი მისთვის კოშმარად იქცა — „ოქროს ბრეტის“ სამივე დარტყმა საბედისწერო აღმოჩნდა. პირველი გოლი ჰალმა მცველთა შეცდომის შემდეგ გაიტანა, რომელთაც შაიბა საკუთარ ზონაში დაკარგეს. პარტნიორი მაიკ მოდანომ გაიყვანა კარგ პოზიციაში. ჰალის მეორე გოლი კი გადამწყვეტი აღმოჩნდა. მანამდე, დეივ რიდის შაიბის შემდეგ გამხნევებულ კოლორადოელებს უამრავი მომენტი შეექმნათ, მაგრამ ხან ისეთი ოსტატები, როგორიც ჯო საკიკი და მილან ჰეიდუკია, ახლო მანძილიდან ცარიელ კუთხეში ვერ გზავნიდნენ შაიბას. ამ მომენტში დალასი გაჭირვებით იცავდა თავს. ერთხანს 69 წამის განმავლობაში ორკაციან უმცირესობაშიც იყო, მაგრამ როცა თითქოს ყველაფერი ანგარიშის გათანაბრებისკენ მიდიოდა, კვლავ ჰალმა ივარგა. იგი მცველების მიერ ზონიდან გადაგდებულ შაიბას დაეუფლა და საშუალო დისტანციიდან გასროლილი რუასთვის კვლავ აულებელი გამოდგა. ბოლო მესამედის დასაწყისში კი ჰალის კიდევ ერთი დარტყმა უხეიროდ მოიგერია რუამ და რიჩარდ მატვიჩუკმა დამატებაზე იმარჯვა.

**აღმოსავლეთი**

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 1:3**

20 მაისი

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 1:3**

0:1 1:0 0:2

0:1 რეკი 16'08 (6); 1:1 ჰოლიკი 32'13 (2); 1:2 ბერუბი 52'58 (1); 1:3 განი 58'40 (5)

ფილადელფია რაც უფრო წინ მიიწევს პლეი ოფში, მით უფრო თვალსაჩინო ხდება კრეიგ რამსეის დიდი როლი ამ საქმეში. როჯერ ნილსონის ავადმყოფობის გამო მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა რამსეიმ, ნეტავ, როგორ შეაგნებინა თავის შეგირდებს ის უბრალო რამ, რისი გაგებაც მათ ბოლო წლებში არამც და არამც არ უნდოდათ — თანამედროვე ჰოკეიში ყველაფრის თავიდათავი ორგანიზებული დაცვა და სწრაფი კონტრშეტევებია.

„მფრინავები“ ამ ყველაფრის არსს, საბოლოოდ, ნიუ ჯერსისთან ორ მატჩში ჩასწვდნენ და მეტოქეს მისივე იარაღით აჯობეს. მათ შეგნებულად დაუთმეს „ეშმაკებს“ ტერიტორია, მერე დიდებულად ითამაშეს დაცვაში, მოქანცეს წინააღმდეგობათა დაძლევით, საბედისწერო შეცდომები დააშვებინეს. განსაკუთრებით მცველები შეცდნენ, რომლებიც ცდილობდნენ შეტევაში ჩართვას და მერე უკან დაბრუნებას ველარ ასწრებდნენ. სტუმრებმაც ჩინებულად გამოიყენეს ეს გარემოება, მესამე პერიოდში ტემპს უმატეს და იმდენად დააბნიეს მეტოქე, რომ საბოლოოდ მათ თვით გამოჩენილ მოჩხუბარ „ბელად“ კრეიგ ბერუბის (მესამე საპლეიოფო გოლი 16-წლიან კარიერაში) მისცეს საშუალება, მეკარეს მშვიდად გამკლავებოდა. ბოლო წერტილი კი კვლავ სიმონ განმა დასვა, რომელმაც ერიკ დეჟარდენის ჩინებული პასი გამოიყენა.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტალია პროკოპიუ



REUTERS ათენიდან

ვოულა ციამიტა

# ოლიმპიურმა ჩირაღდანმა ოდისეა დაიწყო

მას მერე, რაც 9 მაისს ანტიკურ ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის ნანგრევების ადგილზე ბერძენმა მსახიობმა ქალმა ტალია პროკოპიუმ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი ტრადიციისამებრ ააგიზგიზა, ასევე ტრადიციისამებრ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაც დაიწყო. ჩირაღდანმა ხელიდან ხელში გადაინაცვლა და ასე მოიარა მთელი საბერძნეთი თავისი კუნძულებიანად, 20 მაისს კი ჩირაღდანმა ანტიკური ოლიმპიური თამაშების სამშობლო დატოვა. ეს ცერემონიალი ათენში, ანტიკურ პანათინაიკოსის სტადიონზე მოეწყო.სამწუხაროდ, ცერემონიალმა უმაყურებლოდ ჩაიარა, რადგან შარშანდელ მიწისძვრას სტადიონი დაუზიანებია. და მასობრივი თავშეყრისთვის სახიფათო გამხდარა.

ასე იყო თუ ისე, სტადიონის ზღურბლთან, ფიალაში ჯერ ბერძენმა მსოფლიოს ჩემპიონმა სამხტომში ვოულა ციამიტამ ააგიზგიზა ცეცხლი, მერე იქიდან ის ალი მისმა პირველდამნთებმა ტალია პროკოპიუმ ჩირაღდნით აიღო და გადასცა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელ კრის ჰარჩერს, რომელმაც მწვანე კონტინენტისკენ მიმავალ გზას გაუყენა.

ჩირაღდანი ავსტრალიისკენ მეორედ მიემართება, ოღონდ ამჯერად სულ სხვა მარშრუტით. იუწყებიან, რომ ოლიმპიური ჩირაღდანის მოგზაურობათა ისტორიაში ეს უშორესი მარშრუტი იქნებაო. იგი იმოგზაურებს ხმელეთზეც, ჰაერშიც, წყალზეც და წყალქვეშაც... თანამედროვე ტრანსპორტის გარდა სიდნეიში მას ჩაიტანენ ფეხითაც, ცხენითაც, აქლემითაც...

ამასობაში ოლიმპიურ ჩირაღდანს გუშინ შორეული გუამის კუნძულებისთვის მიუღწევია.

**გიგა გურასაშვილი**



ავსტრალიელებმა ჩირაღდანი სათუთად ჩაიბარეს



REUTERS ათენიდან

კრის ჰარჩერი და საბერძნეთის სეოკ-ის პრეზიდენტი ლამბის ნიკოლაუ



ოლიმპიურ ჩირაღდანს გუშინ შორეული გუამის კუნძულებისთვის მიუღწევია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge